პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 238 (9706) | ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
იაროსლავლელი ავტომობილმშენებლები (1-ლი გვერდი).
სადღეისო თემაზე. — ბიბლიოთეკარი (მე-2 გვერდი).
გ. მირიანაშვილი. — პოლიტიკური მუშაობა სოფლად — ახალი ამოცანების დონეზე (მე-2 გვერდი).
ქართველი მეცნიერები — საკოლმეურნეო სოფელს (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას. — გავუფრთხილდეთ მატერიალური კულტურის ძეგლებს (მე-2 გვერდი).
ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება. გავამრავლებთ მიღწევებს, რა ვნახეთ მეგობრებთან. ნალბანდიანელთა წარმატებები. დაიწყო მეგობრობა (მე-3 გვერდი).
ილია ერენბურგი. — ჩიხი [illegible]
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია. **ა. ი. ვიშინსკის** სიტყვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალების წარმატებებისათვის

„პრავდის“ 7 ოქტომბრის მოწინავე

დღეს სრულდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავი. ეს დღე ახლა აღინიშნება გერმანელი ხალხის ეროვნული გაერთიანებისათვის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ვითარებაში.

საბჭოთა ხალხის მეგობრული გრძნობები გერმანელი ხალხისადმი, სურვილი, რომ მან წარმატება მოიპოვოს სამართლიან ბრძოლაში თავისი ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნისათვის, გამოთქმულია ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის დღეს გამოქვეყნებულ დეპეშებში ამხანაგების ვილჰელმ პიკის, ოტო გროტეოლისა და ლოტარ ბოლცისადმი.

ხალხები ნათლად ითვალისწინებენ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბედისათვის იმას, რომ გერმანიის ისტორიაში პირველად შეიქმნა მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო მილიტარიზმსა და ფაშიზმს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან ერთად გერმანელი ხალხის პატრიოტულმა ძალებმა იკისრეს კეთილშობილური მისია — დაიცვან თავიანთი სამშობლოს ერთიანობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უზრუნველყონ მისი განვითარება მშვიდობისა და დემოკრატიის გზით, სხვა ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზით. ხალხებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით შეიქმნა ახალი გერმანია, მშვიდობისა და შრომის, დემოკრატიისა და პროგრესის გერმანია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოთხი წლის მშვიდობიანმა განვითარებამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ მხოლოდ ეს გზა ნამდვილად შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, რომ სწორედ ამ გზით მას შესაძლებლობა ეძლევა შექმნას თავის ისტორიაში ახალი ეპოქა — გერმანიის მშვიდობიანი განვითარებისა და აყვავების ეპოქა.

საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერული ფაშიზმის განადგურების შემდეგ შეიქმნა გერმანიაში მშვიდობიანი მშენებლობის ხელსაყრელი შესაძლებლობანი. ბოლო მოეღო რა კაპიტალისტური მონოპოლიების, პრუსიელი იუნკრების, მილიტარისტების ბატონობას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გადალახეს ბევრი სიძნელე და დაბრკოლება თავიანთ გზაზე, რასაც გერმანელი ხალხის მტრები ქმნიდნენ, გაანაღეს ანტიფაშისტური, დემოკრატიული წყობილების მშენებლობა.

თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში მშვიდობიანმა შემოქმედებითმა მუშაობამ პირველი შედეგი მოიტანა. მნიშვნელოვნად გადააჭარბა რა სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 1951 წელს შეუდგა ეკონომიკის განვითარების თავისი პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. მრეწველობის პროდუქციის საშუალო თვიურმა გამოშვებამ წელს 164,4 პროცენტს მიაღწია 1936 წლის ომამდელ დონესთან შედარებით. სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობამ ჰექტარზე მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ მოსავლიანობას. წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობა.

მშვიდობიან სახელმწიფოებრივ და სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანელი ხალხის საიმედო ბურჯია გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. გერმანიის გაერთიანებისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლაში. უკვე ოთხი წელიწადია, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაუცხრომლად და მტკიცედ იბრძვის გერმანიის საკითხის რაც შეიძლება მალე და სამართლიანი გადაჭრისათვის, რაც გერმანელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის შესაბამისი იქნება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წამყვანმა ძალამ — გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ დარაზმა მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია — მთელი პატრიოტული ძალები და მტკიცე რწმენით მიჰყავს ისინი ახალი წარმატებებისაკენ ერთიანობისა და მშვიდობისათვის, საერთაშორისო იმპერიალისტური ძალების პროვოკაციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ იმიტომ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ უწევს მას ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას მშვიდობიან მშენებლობაში, გერმანიის გაერთიანებისათვის, ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი ეხმრობოდა და ეხმრობა გერმანიის პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრას. თავისი მტკიცე მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ერთგულმა საბჭოთა კავშირის მთავრობამ 4 და 15 აგვისტოს და 28 სექტემბრის ნოტებში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი დასახა გერმანიის პრობლემის გადაჭრის პროგრამა. მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის სამართლიანი აღიარებით, ეს საბჭოთა წინადადებანი საბჭოთა კავშირის ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

გერმანელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის უაღრესად მკაფიო გამოხატულება, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის მისი ზრუნვის გამოვლინებაა ამას წინათ მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკების შედეგები. ამ მოლაპარაკების შედეგად მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეფერება მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს და რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ გერმანიის იმ ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან, აგრეთვე ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დახმარების გაწევის მიზნით მიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. საბჭოთა მთავრობა 1954 წლის 1 იანვრიდან წყვეტს რეპარაციების გადახდევინებას; მან უსასყიდოდ საკუთრებად გადასცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გერმანიაში არსებული საბჭოთა საწარმოები; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნასთან, შეამცირა ისეთ თანხამდე, რომელიც არ აღემატება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 5 პროცენტს; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაათავისუფლა საგარეო საოკუპაციო ხარჯების გამო დავალიანების გადახდისაგან, რომელიც შეიქმნა 1945 წლიდან; გერმანია გაათავისუფლა საბჭოთა კავშირისათვის ომისშემდგომ სახელმწიფო ვალების გადახდისაგან. მთელ ამ ღონისძიებათა განხორციელება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის დიდი დახმარება იქნება მშრომელთა საკეთილდღეოდ მისი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მისცა 485 მილიონი მანეთი კრედიტი და დატებით მიაწვდის 590 მილიონამდე მანეთის სხვადასხვა საქონელს.

ყოველივე ეს მოწმობს გერმანელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის ნამდვილ მეგობრულ დამოკიდებულებას, მის გულწრფელ მისწრაფებას შექმნას ყველა პირობა, რაც საჭიროა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის და გერმანიის ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. გერმანიის ყველა პატიოსანი ადამიანი სულ უფრო ნათლად ხედავს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობა მოწოდებულია უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს ახალი სამხედრო ავანტიურებისაგან და ახალი ეროვნული კატასტროფისაგან გერმანიის ხსნის საქმეში, არსებული გათიშვის ლიკვიდაციის საქმეში, ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სულ სხვანაირია, ვიდრე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იმ გერმანელთა ბედი, რომლებიც გერმანიის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ხელისუფლების მფარველობით იქ ომის შემდეგ განმტკიცდა ანტიდემოკრატიული წყობილება. ამჟამად დასავლეთი გერმანია გერმანიის იმ შავბნელი ანტიეროვნული ძალების ცენტრია, რომლებსაც გერმანია არაერთხელ მიუყვანიათ მძიმე კატასტროფამდე. იგივე მილიტარისტული ძალები — გერმანელი ერის მესაფლავენი, — რომლებმაც ჰიტლერული ფაშიზმი წარმოშვეს, კვლავ იმყოფებიან გერმანიის დასავლეთი ნაწილის ხელისუფლების სათავეში. და ისინი კვლავ ცდილობენ გერმანელი ხალხი ჩაითრიონ აგრესიულ ავანტიურებში გერმანიისა და ოკეანესგაღმელი მონოპოლიების გამდიდრებისათვის.

გერმანია თავის ისტორიაში უაღრესად პასუხსაგებ ეტაპს განიცდის. დასავლეთ გერმანიაში ამერიკის აგრესიული წრეების ზეგავლენით, რომლებიც გერმანიის მსხვილ მონოპოლიებს ეყრდნობიან, ძლიერდება რეაქცია. მიმდინარეობს ჰიტლერული „ვერმახტის“ აღდგენა. ადენაუერი და მისი ხროვა, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, ცდილობენ თავიანთი ნება უკარნახონ საფრანგეთს, ბელგიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. რევანშისტული ელემენტები კვლავ ალაპარაკდნენ იმ აგრესიული პოლიტიკის ენით, რომელსაც წარსულში არაერთგზის მოუტანია აურაცხელი უბედურება არა მარტო გერმანიის მეზობლებისათვის, არამედ თვით გერმანელი ხალხისთვისაც.

რეაქციული საერთაშორისო ძალები ბონის ხროვასთან შეთანხმებით ისწრაფვიან სამუდამოდ დაამკვიდრონ გერმანიის გათიშვა და დასავლეთი გერმანია გადააქციონ აგრესიის ახალ საშიშ კერად, მესამე მსოფლიო ომის კერად. ასეთი პოლიტიკა აგრესორთა შეთქმულებაა გერმანელი ხალხის წინააღმდეგ, ევროპაში მშვიდობის საქმის წინააღმდეგ, იგი სამხედრო ავანტიურების ძველი გზის, გერმანიის დამღუპველი გზის აღდგენაა.

ახლა პირველ რიგში თვით გერმანელ ხალხზეა დამოკიდებული გერმანიის ბედი, ახალი ეროვნული კატასტროფის თავიდან აშორების შესაძლებლობა.

„თუ მთელი გერმანელი ხალხი მოისურვებს, რომ გერმანიის საკითხი მოწესრიგებულ იქნას მშვიდობიანი გზით, — განაცხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გ. მ. მალენკოვმა, — მაშინ ვერავითარი აგრესიული ძალები, ვერც ოკეანესგაღმელი, ვერც ევროპელი, ვერ შეძლებენ ხელი შეუშალონ ამ კეთილშობილური მისწრაფების განხორციელებას“.

რაც შეეხება საბჭოთა ხალხს და გერმანელი ხალხის ყველა ნამდვილ მეგობარს, ისინი კვლავაც ეცდებიან, რომ გაიმარჯვოს გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალების სამართლიანმა საქმემ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავის დღეს საბჭოთა ადამიანები, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ყველა ნამდვილი დამცველი გერმანელ პატრიოტებს, პროგრესულ ძალებს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში უსურვებენ წარმატებას მშვიდობისათვის, ეროვნული ერთიანობისათვის, საზავო ხელშეკრულებისათვის მათს სამართლიან ბრძოლაში.

საბჭოთა საქართველოს დღე



ოცი წლის წინათ — 1933 წლის ოქტომბერში ამუშავებულ იქნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის პირმშოა. ამ ოცი წლის განმავლობაში ზესტაფონელმა მეტალურგებმა აითვისეს 18 სხვადასხვა სახის შენადნობის გამოშვება და ასორტიმენტის ნაირსახეობაში პირველი ადგილი მოიპოვეს სსრ კავშირის ფეროშენადნობთა ქარხნებს შორის. **სურათზე:** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცის საამქროს მოწინავე მდნობელები (მარცხნიდან მარჯვნივ) ა. მაღლაკელიძე და კ. ცქიფურიშვილი, რომლებიც დაწინაურდნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. უკანა პლანზე: ფეროშენადნობთა დატვირთვა ვაგონებზე. ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბება

ა.ბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 109 პროცენტით, ამ გეგმის გადამეტებით გამოუშვას 28 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, დაზოგოს საზედაპირე ტყავი 110 ათასი დეციმეტრი, საძირე ტყავი — 135 ათასი დეციმეტრი, სასარჩულე ტყავი — 128 ათასი დეციმეტრი და დაზოგილი მასალებით გამოუშვას 12 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

ფაბრიკის კოლექტივმა ბევრი ხუთი გადიდებული საწარმოო ვალდებულებაც იკისრა — აითვისოს 11 ახალი მოდელის მიხედვით ფეხსაცმლის მასობრივად გამოშვება, აღმოფხვრას წუნი, საგრძნობლად გაადიდოს პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვება.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის სექტემბერში გაჩაღებულმა ბრძოლამ კარგი შედეგები მოგვცა. სექტემბრის გეგმა ფაბრიკის კოლექტივმა 120,1 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2.100 წყვილი ფეხსაცმელი, მათ შორის 1.700 წყვილი ფეხსაცმელი გამოშვებულია დაზოგილი მასალებით.

შეჯიბრებაში ყველას გაუსწორა ცხელი ვულკანიზაციის საამქროს კოლექტივმა (უფროსი თ. ხუციშვილი), რომელმაც აითვისა საზამთრო ფეხსაცმლის წარმოება და გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. განსაკუთრებით იხახელა თავი ამ საამქროს იმ ცვლამ, რომელსაც მ. სარქისოვი ხელმძღვანელობს. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია აგრეთვე სპორტული ფეხსაცმლის შემკერავმა საამქრომ (უფროსი ა. შიკი).

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ სტაანოველები ხ. ნაცვლიშვილი, გ. ბედუკიძე, გ. ტაბიძე, ა. აშხატუნიანი, ხ. ავდალიანი, ზ. შაგოიანი, ა. მარტიროსოვი და ე. ლაკეევა.

მეტი და უკეთესი ხარისხის ტანსაცმელი — მოსახლეობას

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას გადაწყვიტა წლის ბოლომდე გამოასწოროს განვლილი თვეების ჩამორჩენა, უზრუნველყოს წლიური გეგმის ვადამდე შესრულება. შეჯიბრების პირველი თვის — სექტემბრის განმავლობაში დასახული ამოცანის განსახორციელებლად ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. მან თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომის, ნელდეულობისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობისათვის ბრძოლის გადაჭრით გაუმჯობესების შედეგად პროდუქციის გამოშვების სექტემბრის დავალების 109,1 პროცენტით განაღდება შეძლო.

სექტემბერში მაღალნაყოფიერად მუშაობამ საშუალება მისცა ფაბრიკის კოლექტივს დაეფარა წინა თვეების ჩამორჩენა და 100,7 პროცენტით შეესრულებინა 9 თვის გეგმა. ასევე გადაჭარბებით განაღდეს ნაკისრი ვალდებულება ხარისხის გაუმჯობესების დარგში. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 92 პროცენტისა პირველი ხარისხის პროდუქცია გამოშვებულია 94,5 პროცენტის რაოდენობით, ამასთან სექტემბერში გაწეულია საგრძნობი რაოდენობის მაღალხარისხოვანი ქსოვილის ეკონომია, გაუმჯობესებულია ფაბრიკის მუშაობის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებელი.

ფაბრიკის კოლექტივი არ კმაყოფილდება მიღწეული წარმატებებით. ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე ყოველ საამქროსა და ბრიგადაში უფრო მონდომებულად გააჩაღეს მუშაობა იმისათვის, რომ კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრონ მიმდინარე თვე, გამოუშვან მეტი და უკეთესი ხარისხის კოსტად შეკერილი ტანსაცმელი.

ქარხანა—მწს-ის შეფი

თელავის მტს-ს კარგად მოწყობილი სახელოსნო არა აქვს. მას არ მოეპოვება ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღი, ხშირად საკმაო რაოდენობით არა აქვს სხმული და ნაჭედი რკინა.

ამიერიდან მტს-ის მუშაკებს ყოველივე ეს ექნებათ, არც სხმული შემოაკლდებათ და არც ნაჭედი რკინა, იმიტომ, რომ მათთვის დახმარების გაწევა იკისრა თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც გადაწყვიტა შეფად დაუდგეს თელავის მტს-ს.

ამას წინათ ქარხანაში იყვნენ თელავის მტს-ის ხელმძღვანელები, რომლებმაც შეფს გააცნეს თავიანთი საჭიროებანი. სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს გარდა ხელსაწყოების მიწოდებისა დახმარებოდა საჭიროების შემთხვევაში მტს-ის კოლექტივს სპეციალისტების დროებით გაგზავნითაც გაუწიონ დახმარება.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ფოსლად სამუშაოდ

ბათუმი. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მხურვალედ ეხმაურებიან პარტიის მოწოდებას და გამოთქვამენ სურვილს მუდმივ სამუშაოდ წავიდნენ სოფლად.

ბათუმის რაიონში სამუშაოდ წასვლის სურვილი ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა ნ. მექვაბიშვილმა. მის პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სამინისტროს უფროსმა აგრონომმა საკვების დამზადების დარგში ა. ქინქლაძემ, უფროსმა აგრონომმა მეთამბაქოობის დარგში ი. მიქელაძემ, ტყის დაცვის ინსპექტორმა ნ. ჟღენტმა, აგრონომმა სუბტროპიკული კულტურების დარგში ა. გოგმაჩაძემ.

სამინისტროს უფროსმა აგრონომმა მეღვინეობის დარგში მ. ნუცუბიძემ გადაწყვიტა სამუშაოდ წავიდეს ზესტაფონის რაიონში. აგრონომი-ენტომოლოგი ქ. შავლაყაძე თავის განცხადებაში წერს: მე დავამთავრე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რის შემდეგაც ვმუშაობდი წულუკიძის მტს-ში, ხოლო გასულ წელს ბათუმში, სამინისტროს აპარატში. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საპატიო მოვალეობაა სოფლად მუშაობა. სურვილს გამოვთქვამ ვიმუშაო რომელიმე მტს-ში.

უფროსმა აგრონომმა ტუნგოს კულტურის დარგში მ. ბასილაძემ და უფროსმა აგრონომმა ციტრუსოვანთა სანერგეების დარგში ნ. ჩხაიძემ სურვილი გამოთქვეს სამუშაოდ წავიდნენ ქობულეთის მტს-ში.

ამ პატრიოტულ მოძრაობას გამოეხმაურა ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს აპარატში მომუშავე მეჩაიე აგრონომი მ. დოლიძე, რომელმაც გადაწყვიტა სამუშაოდ წავიდეს ქობულეთის მტს-ში.

მეჩაიეთა წარმატება

მახარაძე. (საკ. კორ.). ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა ვადამდე გაანაღდა ნარუჯის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც მოკრიფა და მრეწველობას ჩაანაბარა 536 ტონა ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად 505 ტონისა. ჩაის ფოთოლს გეგმის გადამეტებით კრეფენ აგროგანყოფილებები, რომლებსაც ვალერიან ხოფერია, შიო კონტრიძე და შალვა კვირიკაძე ხელმძღვანელობენ. ბევრითი შრომით სახელი გაითქვეს მუშებმა გალინა შარაშიძემ, შურა ხონელიძემ, ევდოკია სარდანოვამ.

220 ცენტნერი ხახვი ჰექტარზე

ახმეტა. (საკ. კორ.). შარშან ოქიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ბერიკიშვილი) ერთ ჰექტარზე 105 ცენტნერი ხახვი მიიღო ნაცვლად 70 ცენტნერისა. ბრიგადამ წელს უკეთესად იმუშავა და ჰექტარზე 220 ცენტნერი ხახვი მოიყვანა, გეგმა შეასრულა 366 პროცენტით.

კოლმეურნეებმა თ. გავარდაშვილმა, მ. ბაზიკოშვილმა, ნ. კუკუნაშვილმა და დ. მოსიაშვილმა თვითეულმა პრემიად 400 კილოგრამზე მეტი ხახვი მიიღო.

მანქანები იღებენ კარტოფილს

ჩერნიგოვი. კარტოფილის სრულყოფილი კონსტრუქციის ოთხ მწკრივად სათესი მანქანების გამოყენების შედეგად ოლქის კოლმეურნეობებმა ერთი მესამედით გაადიდეს კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნათესი ფართობი. წინათ მინდვრებს ამუშავებდნენ სათოხნი ტრაქტორებით.

კარტოფილის მოსავალი ამ მასივებზე ყველგან 30-40 პროცენტით მეტია, ვიდრე დანარჩენ ნაკვეთებზე. ჩერნიგოვის, ოლშევიკის, კოზელცისა და ოსტერის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჰექტარზე 200 ცენტნერ ტუბერს იღებენ, ხოლო გოროდნიას რაიონის პეტროვსკის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. კოვალჩუკის რგოლმა 10 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 500 ცენტნერი მოიყვანა.

კვადრატულ-ბუდობრივი ნათესის მთელ ფართობს მანქანებით იღებენ.

იაროსლავლელი ავტომობილმშენებლები

იაროსლავლის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ჩაბმულია შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის აღსანიშნავად და ახალ წარმატებებს აღწევს შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

ავტოქარხნის მთავარი საამწყობო კორპუსიდან დასატვირთავ მოედანზე მოდის ახალი ავტომანქანები მიმდინარე წლის უკანასკნელი კვარტალის ანგარიშში. რკინიგზის პლატფორმებზე დგამენ ათტონიან თვითსაცლელებს, სატვირთო მანქანებს, დიზელიან მოტორებსა და სათადარიგო ნაწილებს. ქარხნის პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მიდის. ამ უკანასკნელ ხანს ბევრი მანქანა გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის ნავთობისა და ქვანახშირის მრეწველობის საწარმოების, მშენებლობებისა და სოფლის მეურნეობისათვის.

მანქანების გამოშვება შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა. ეს შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის მტკიცე ბრძოლის შედეგია.

მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საამქრო კრებებზე გამოვლინებულ იქნა ახალი რეზერვები შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მუშებმა და ინჟინრებმა შეიტანეს 300-ზე მეტი ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა. ახლა ნოვატორთა წინადადებანი წარმოებაში ინერგება.

საავრეგატო საამქროში მთელი რიგი დეტალების დამუშავება იწყეს ღარვით. ამის შედეგად, ამ ოპერაციის ნაყოფიერება გადიდდა 55 პროცენტით. საწნეხე საამქროში გაუმჯობესებულია 10 დეტალის კონსტრუქცია და სრულყოფილია მათი დამზადების ტექნოლოგია. ამან უზრუნველყო ნაკეთობათა დამუშავების შრომატევადობის შემცირება. საამქროში ეუფლებიან აგრეთვე ავტომობილის კაბინის სახურავის დამზადების ახალ მეთოდს, რომელიც თვითეულ ავტომობილზე შრომითს დანახარჯებს 7 საათით შეამცირებს.

ათობით ღონისძიება ხორციელდება საწარმოს სხვა საამქროებშიც. ეს ღონისძიებანი აჩქარებენ კვანძებისა და დეტალების დამზადებას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მოწინავე მეთოდების ფართოდ გამოყენება. მხეხავმა ნიკოლოზ მელენტიევმა შეიმუშავა და იყენებს შრომის ახალი ხერხებს მთელ კომპლექსს. იგი ფართოდ იყენებს სხვადასხვა მოწყობილობას. ნოვატორის გამომუშავება ერთისამად გაიზარდა. ახლა ქარხანაში მელენტიევის მეთოდით ასობით მუშა მუშაობს.

დიდ ეფექტს იძლევა პროფესიების შეთავსება. ამ საქმეში ინიციატივა ეკუთვნის სამსხმელო საამქროს მომჭრელს ვლადიმერ სლავნოვს. მან პირველმა აითვისა და იწყო ცილინდრის ბლოკის დამუშავების მთელი ციკლის შესრულება, რომელიც ისეთი ოპერაციებისაგან შედგება, როგორიც არის მოკრა, გაზით კვეთა, ელექტროშედუღება, მეტალიზაცია. ახლა სხვა მომჭრელებიც წარმატებით ითავსებენ სხვადასხვა პროფესიას და ამასთან ცვლაში 2-3 ნორმას ასრულებენ.

ფართოდ გავრცელდა პროფესიების შეთავსება სამჭედლო, სადიზელე და სხვა საამქროებში. სამჭედლო საამქროს მუშათა უმრავლესობამ აითვისა ყველა აგრეგატდ და მათ შეუძლიათ შეასრულონ ყოველგვარი საწარმოო ოპერაცია. ამის მეოხებით მჭედელთა ბრიგადები, რომლებსაც ამხ. შკარეევი, პეტროვი, გორიაჩევი ხელმძღვანელობენ, ხშირად იძლევიან გეგმის გადაჭარბებით ათას და უფრო მეტ დეტალს ცვლაში.

ქარხნის მექანიკურ საამქროებში ბევრი ჩქარობანია. ამხ. ორლოვი, ვოევოდინა, სოროკინა და სხვები შვიდ-შვიდ ჩარხზე მუშაობენ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. წელს ცხრა თვის განმავლობაში ასობით მუშამ დაამთავრა წლიური ნორმები. წარმოების ასზე მეტმა მუშაკმა შეასრულა ამ უკანასკნელ ხანს ორი წლის დავალება.

იაროსლავლი, 6 ოქტომბერი, (საკადრი).

საღეისო თემაზე

ბიბლიოთეკარი

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ბიბლიოთეკა და ქოხ-სამკითხველო მასების პოლიტიკური აღზრდის მთავარი წყაროა, ამ დაწესებულებებში მუშაობა კი უაღრესად საინტერესო და ამავე დროს პასუხსაგები. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში უმაგალითოდ ამაღლდა და გაიზარდა ბიბლიოთეკების როლი. ჩვენი დიდი სამშობლოს სოფლებსა და ქალაქებში შეიქმნა ახალი ათასობით კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად ხუთი ათასამდე ბიბლიოთეკა მუშაობს. წიგნის პროპაგანდისა და მკითხველთა კარგი მომსახურებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკარს.

ბიბლიოთეკარი არ არის უბრალო ტექნიკური მუშაკი, წიგნის მექანიკური დამრიგებელი. იგი სოციალისტური კულტურის პროპაგანდისტი და აგიტატორია.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი ბიბლიოთეკარი, რომელიც წარმატებით არმევს თავს დაკისრებულ კეთილშობილურ მოვალეობას და მკითხველთა ფართო მასების სიყვარულს იმსახურებს.

სახელი გაითქვა გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკამ, რომელსაც 16 ათასამდე წიგნი აქვს და 2.500-ზე მეტი მუდმივი მკითხველი ყავს. ბიბლიოთეკა მკითხველებს ყოველწლიურად 30 ათასზე მეტ წიგნს აძლევს. ბიბლიოთეკის ასეთ წარმატებაში უდიდესი როლი მიუძღვის ამხ. გ. ჯორჯაძეს, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე სპეტაკად ემსახურება კულტურის აღმავლობის საქმეს. ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, გამოფენები, დგება საცნობო ბიბლიოგრაფიები.

ასეთი მაგალითები ერთეული არ არის. მკითხველთა მომსახურებით, წიგნის ფონდის გულისხმიერი მოვლით და საბიბლიოთეკო მუშაობის კარგად დაყენებით მშრომელთა სიყვარული ნამსახურა ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკის გამგემ ამხ. ბ. ახრახაძემ. იგი ამჟამად ნაყოფიერად მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა პროპაგანდისათვის, აწყობს შორეულ სოფლებში მოძრავ გამოფენებს. კარგი მუშაობით გამოირჩევიან აგრეთვე ბიბლიოთეკარები: ე. მირიანაშვილი (თელავი), ო. კიტოვანი (გეგეჭკორი), თ. ბოლქვაძე (მახარაძე), უ. მანაგაძე (ცაგერი), მ. კალიჯოვა (ახალციხე), ვ. სალინაძე (ოჩამჩირე), მ. კობზონაძე (ქალუბორი) და სხვები.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკართა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საკმაოდ არ მუშაობენ კულტურის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაკებს ჯეროვან მეთოდურ დახმარებას ვერ უწევს საქართველოს სსრ კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. ხშირია ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ ბიბლიოთეკარის უაღრესად პასუხსაგები მოვალეობის შეუფასებლობის შემთხვევებიც, რაც იწვევს ბიბლიოთეკართა ხშირ დენადობას. ხშირად ბიბლიოთეკები მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში. ეს კი საგრძნობლად ზღუდავს ბიბლიოთეკარის მუშაობას.

ცუდად არის დაყენებული ბიბლიოთეკართა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმე. არც ერთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს საბიბლიოთეკო ფაკულტეტი არა აქვს. თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს მთელ საქართველოში ერთადერთს ჰქონდა საბიბლიოთეკო ფაკულტეტი, მაგრამ ისიც გაუქმდა.

ბიბლიოთეკარი სერიოზული კულტურული ძალაა. ბიბლიოთეკართა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, ამჟამად მომუშავე ბიბლიოთეკართა დახელოვნებისა და მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად დაუცხრომლად უნდა მუშაობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ქართველი მეცნიერები — საკოლმეურნეო სოფელს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ პროფესორმა ნ. კეცხოველმა ჩვენ თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. 2-3 წლის შემდეგ ჩვენში ისეთი ბარაქა და დოვლათი უნდა დაგროვდეს, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაგვედაროს.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ ყველამ: დიდმაც და პატარამაც, ოფლმოუწურავად ყოველივე ეს არ მოვა, თუ თავიდან „ოფლი მიწას არ ვაწურეთ“, ჭირნახული ლხინნახულად ვერ გადაგვექცევა. ამ შემთხვევაში სხვამ სხვისა იცოდეს, მაგრამ ჩვენ, მეცნიერ მუშაკებს, ბევრი გვევალება. ჩვენ ჯერ ჩვენი ქვეყნის ვალი არ გადაგვიხდია.

პლენუმის დადგენილებაში გარკვევით აღნიშნულია იმის შესახებ, რომ

„... მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნებს“.

მუშაობა ისე უნდა გარდავქმნათ, რომ წარმოებას კი არ ჩამოვრჩეთ, არამედ წინ ვუსწრებდეთ.

მართალია, ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეცნიერმა მუშაკებმა ცოტა როდი გააკეთეს. მაგალითად, ბოტანიკის ინსტიტუტმა დაამთავრა კაპიტალური (8 ტომი) შრომა „საქართველოს ფლორა“; მევენახეობის ინსტიტუტმა წარმოებას გადასცა მოსავლიანობის ზრდის ღონისძიებანი, ქლოროზის ამტანი საძირეების სია; მიმდინარეობის ინსტიტუტმა გადაჭრა ჩვენში მეორე მოსავლის აღების პრობლემა, სიღრმეზე ხვნა, გამოყვანილია ვაზისა და ხილეულის უფრო მოსავლიანი ახალი ჯიშები და სხვა მრავალი. მაგრამ ამით შორს ვერ წავალთ, საჭიროა ახალი, უფრო მეტი, უფრო ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება.

პირველ ხანად დადგენილებასთან დაკავშირებით ჩვენი განყოფილება ოქტომბერში მოაწყობს სამეცნიერო სესიას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერი მუშაკები. მოსმენილ იქნება სპეციალური მოხსენება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანების შესახებ. გარდა ამისა, მოსმენილ იქნება: „პურეულის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი“ (პროფ. შ. ჭანიშვილისა), „სამგორის ათვისების გზები და ამოცანები“ (უფროს მეცნიერ მუშაკ გ. ახვლედიანისა), „ქლოროზი და ვენახების მოსავლიანობა“ (პროფ. ლ. ჯაფარიძისა), „სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ახალი ღონისძიებანი“ (პროფ. ლ. ყანჩაველისა) და ა. შ. ამ მოხსენებათა გარდა მოსმენილ იქნება 20-ზე მეტი თანამოხსენება, რომლებიც შეეხება მებოსტნეობას, საკვებ ბალახებს და სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების საშუალებებს.

ოქტომბრის დასასრულს თბილისში ვიწვევთ სესიას, რომელიც მიეძღვნება მთიან რაიონებში მეტყეობის საკითხებს. ამ სესიაზე მონაწილეობას მიიღებს ამ დარგის 60-ზე მეტი გამოჩენილი მეცნიერი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ლვოვიდან, ყირიმიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ურალის მხარიდან და სხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პლენუმის ეს ისტორიული დადგენილება ჩვენმა კოლმეურნეებმა სწორად და სრულად გაიგონ. ამ მიზნით ჩვენი ინსტიტუტები საქართველოს რაიონებში, უმთავრესად კოლმეურნეობებში ოქტომბერსა და ნოემბერში მოაწყობენ გამსვლელ სესიებს. თვითეულ სესიაზე მოსმენილ იქნება არაუმეტეს სამი მოხსენებისა რაიონისათვის დამახასიათებელ საკითხებზე. მემინდვრეობის ინსტიტუტი მოაწყობს სესიას საგარეჯოში, სიღნაღში, ხაშურში; მეხილეობის საცდელი სადგური — სოფ. მერეთში, მეჯვრისხევში, ტყვიავში (გორის რაიონი), ყასაში, უდეში (ახალციხის რაიონი), საქარის მევენახეობის საცდელი სადგური — ს. სვირში, საჩხერეში, ოკრიბაში, ორჯონიკიძეში, ვანში; მევენახეობის ინსტიტუტი — ახმეტაში, ყვარელში, გურჯაანში, ანაგაში, კაჭრეთში და ა. შ. სულ ოქტომბერ-ნოემბერში მოეწყობა 28 სესია.

ამ მუშაობასთან ერთად უკვე მიმდინარეობს თემატიკური გეგმების გადათვალიერება: მათი გამდიდრება უფრო აქტუალური თემებით, თემების ისე აგებით, რომ მათმა განხორციელებამ უფრო მეტი შედეგი მოგვცეს. ვფიქრობთ ზოგიერთ წამყვან და მნიშვნელოვან თემაზე ერთად იმუშაოს რამდენიმე ინსტიტუტმა. დროა სხვადასხვა კულტურის შესახებ ჩვენში დამუშავდეს აგროტექნიკა ზონების, ბუნებრივი პირობების მიხედვით. მარცვლეულის აგროტექნიკაზე ზონების მიხედვით იმუშავებენ: მემინდვრეობის ინსტიტუტი თავისი ქსელით, ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციის და აგროქიმიის, მცენარეთა დაცვის, მეტყეობის, ბოტანიკის ინსტიტუტები. ამ თემაში ყველა ამ ინსტიტუტს აქვს თავისი ამოცანა, ხოლო საბოლოოდ მივიღებთ ყოველმხრივ დამუშავებულ თემას, რომლის შედეგებს უფრო თამამად დავნერგავთ.

ქარსაფარი ზოლების ტიპების საკითხზე იმუშავებენ: მეტყეობის, ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციის და აგროქიმიის, ბოტანიკის, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტები.

კომპლექსური თემები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი გახდება.

ჩვენი მეცნიერები არ დაიშურებენ არც ძალას და არც ცოდნას იმისათვის, რომ ღირსეულად გაამართლონ მთავრობისა და პარტიის ამაგი.

სურათზე: გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრი ც. პალელაშვილი ბაღში კრეფს ვაშლს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

800 ცენტნერი ვაშლი გეგმის გადამეჯებით

გორი. (საკ. კორ.). სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადში“ ხილის დიდი მოსავალია. კოლმეურნეობის მეხილეობის მეშვიდე ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მეხილე ვასილ კობლიაშვილი ხელმძღვანეობს, საშუალოდ თვითეულ ჰექტარ ბაღში 70 ცენტნერ ვაშლს კრეფს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა.

ხელთუბნელი კოლმეურნეები პირველ მოკრეფილ ვაშლს სახელმწიფოს აბარებენ. ისინი წელს გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ 800 ცენტნერ ვაშლს.

ჯიშიანი თესლის დამზადება

ახალციხე. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა მოსავლის აღება ბოსტნეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების სათესლე ნაკვეთებზე.

ჯიშიანი თესლის დიდი მოსავალი მიიღო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ. 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 135 კილოგრამის ნაცვლად აქ 210 კილოგრამი სათესლე ხახვი მოიყვანეს, ხოლო ნახევარ ჰექტარზე — 360 კილოგრამი სუფრის ჭარხალი, გეგმა კი 235 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ჩაბარებული თესლეულისათვის კოლმეურნეობამ სახელმწიფოსაგან მიიღო რამდენიმე ათეული ათასი მანეთი.

წერილები რედაქციას

გავუფრთხილდეთ მატერიალური კულტურის ძეგლებს

პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. ჩამოყალიბებულია სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო, რომლის ამოცანას შეადგენს ძეგლების მეცნიერულად შესწავლა, ძეგლის აღდგენა-გამაგრება.

უკანასკნელ წლებში სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნომ მეტად სასარგებლო მუშაობა გასწია ძეგლების რესტავრაციის მიზნით. ამჟამად მიმდინარეობს სარესტავრაციო-გამაგრებითი მუშაობა შემდეგ ძეგლებზე: დუშეთის რაიონის ანანურის ანსამბლში — კოშკ „შეუპოვარზე“, ქუთაისში „ბაგრატის ტაძარზე“, ქარელის რაიონში „ყინწვისის ძეგლზე“, ბორჯომის რაიონში „ციმოთეს უბანზე“, ქუთაისის რაიონში გეგუთთის ციხე-დარბაზზე; მიმდინარეობს აგრეთვე არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ სხვადასხვა ნაგებობათა დარჩენილი ნაწილები.

მიუხედავად ამისა, სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოს მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. კულტურის ზოგიერთ ძეგლზე სამუშაოები უხარისხოდ არის შესრულებული. მხედველობაში გვაქვს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინწყვინდის, გაგრის რაიონის სოფელ განთიადის, გეგეჭკორის რაიონის მარტვილის „მცირე ეკლესიის“ და სხვა ძეგლები.

უკანასკნელ ხანებში მთელ რიგ სამინისტროების შეერთებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარ სამმართველოსთან შეიქმნა კულტურის ძეგლების დაცვის ინსპექცია, რომელშიც გაერთიანდა წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტისა და არქიტექტურის სამმართველოს ძეგლთა განყოფილებები. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს კულტურის ძეგლების დაცვას საქართველოში. როგორც ვიცით, საქართველო მეტად მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომლებსაც უდიდესი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ.

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მეცნიერულად შესწავლისათვის სერიოზული მუშაობაა გაწეული. ცალკეულ უნიკალურ კულტურის ძეგლებზე შესრულებულია სარესტავრაციო-გამაგრებითი-სამუშაოები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ზომებს არ იღებს ძეგლების დაცვის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტი. მიღებული არ არის გადამჭრელი ზომები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც აზიანებენ მატერიალური კულტურის უდიდეს საგანძურს. მივიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ქარელის რაიონში დაანგრიეს სოფელ ზღუდერის ტაძარი, დათარიღებული მე-7 საუკუნით. იმავე რაიონის სოფელ ურბნისში მე-7 საუკუნის „წმიდა სტეფანეს“ ტაძარი გამოყენებულია საწყობად. სტალინირის რაიონის სოფელ ხეითის „საბაწმინდას“ ტაძრის გალავანზე უნებართვოდ მიშენებულია კოლმეურნეობის ბოსელი. თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის ციხის ორსართულიანი სახლი დაანგრიეს და მასალა სხვა საჭიროებისათვის გამოიყენეს.

მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისათვის ზრუნვა, კერძოდ, უნდა გააფორმონ დაცვითი საიჯარო ხელშეკრულებები. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კულტურის ძეგლების დაცვის, კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების საქმეს.

პ. სოკოლაძე,

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს კულტურის ძეგლების დაცვის ინსპექციის უფროსი.

უკანასკნელი ფოსტიდან

დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა

თვითეულ საგაზეთო სტატიას, წერილს თუ შენიშვნას, როგორც წესი, მუდამ აქვს სათაური. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საკითხზე ახმეტის რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ რედაქტორს ამხ. ს. ლაგაზიძეს თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს. აბა რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ „გამარჯვების“ 20 სექტემბრის ნომერში „პრავდის“ 14 სექტემბრის მოწინავე სტატია დაბეჭდილია უსათაუროდ?

გარდა იმისა, რომ „გამარჯვების“ მკითხველებისათვის გაურკვეველი დარჩა „პრავდის“ მოწინავე სტატიის სათაური („სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა“), ისინი რედაქციამ შეცდომაში შეიყვანა თვითნებური შესწორებით, რაც შეტანილია სტატიის პირველ აბზაცში. სტატიაში დამშვებულია უნში კორექტურული შეცდომებიც.

„პრავდის“ მოწინავე სტატიის უსათაუროდ დაბეჭდვით და სტატიაში თვითნებურად შესწორების შეტანით რაიონულმა გაზეთმა „გამარჯვებამ“ გამოიჩინა აშკარა დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა.

პარტიულ თემაზე

პოლიტიკური მუშაობა სოფლად — ახალი ამოცანების დონეზე

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა მიმართულია სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისაკენ, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისაკენ. ამ ზრუნვის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის მიერ გამოტანილი დადგენილებანი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის დასახული პროგრამის პრაქტიკულად განხორციელება, რაც მიმართულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარმართავენ პარტიული ორგანიზაციები ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას. პარტია გვასწავლის, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია მასების პოლიტიკური და კულტურული დონის აუმაღლებლად. საბჭოთა სახელმწიფო უძლეველია მასების შეგნებულობით. სწორედ ამიტომ პარტია დაუღალავად მუშაობს მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის. კომუნისტური პარტია ამაში ხედავს მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის დაუშრეტელ წყაროს.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს პოლიტიკური აგიტაცია. პოლიტიკური აგიტაცია მოწოდებულია განუმარტოს მშრომელებს ჩვენი პარტიის ყოვლისმძლე იდეები, დარაზმოს ისინი სახელმწიფო დავალებების წარმატებით შესასრულებლად. პოლიტიკური აგიტაცია ძლიერია იმიტომ, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ცხოვრებასთან.

ლაგოდეხის რაიონში 496 აგიტატორი ეწევა პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა ახსნა-განმარტებას. მათ შორის დიდ უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე კომკავშირელები, პოლიტიკურად მომზადებული მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია.

პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია იმ ამოცანათა განმარტება, რომლებიც დასახეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა. მოეწყო აგიტატორთა კრებები და სემინარები, სადაც განხილულ იქნა აგიტატორთა ამოცანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიისა და პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში გაიმართა საერთო კრებები, სადაც დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი ახალი ამოცანების განსახორციელებლად. რაიკომის მომხსენებლები კოლმეურნეობებში მართავენ საუბრებს სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გარშემო.

შეიძლება მოვიყვანოთ სოფლად სააგიტაციო მუშაობის უნარიანად მოწყობის მრავალი მაგალითი. ავიღოთ, მაგალითად, სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პარტიული ორგანიზაცია. აქ აგიტატორებისათვის იკითხება ლექციები და საინსტრუქტაჟო მოხსენებანი. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა გ. სესიტაშვილმა, რომელიც პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანიც არის, ისე მოაწყო მუშაობა, რომ აგიტატორები თავიანთი შინაარსიანი და ქმედითი აგიტაციით რაზმავენ კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესასრულებლად. ამის შედეგად კოლმეურნეობას კარგი სამეურნეო მაჩვენებლები აქვს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარიამ ქემაშვილი აგიტატორია კოლმეურნეობის № 5 ბრიგადაში. ამ ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 25,4 ცენტნერი ხორბალი და 45 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო თამბაქოს მოსავლიანობის გეგმა ერთიორად შეასრულა.

რაიონის მრავალი აგიტატორი უდიდესი სიყვარულით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. აგიტატორები პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწენი არიან პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლაში. საინტერესოდ და მიზნიდველად აწყობენ საუბრებს სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორები (პარტბიუროს მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბარნაბიშვილი). აგიტატორი ელენე პაპალაშვილი დიდი ხანია ამ მეტად საპატიო მოვალეობის შესრულებას მონდომებით ეკიდება. იგი სააგიტაციო მუშაობას მარტო საგაზეთო მასალების კითხვით როდი ამოწურავს. მის საუბარში შეხვდებით ცოცხალ ფაქტებს ადგილობრივი ცხოვრებიდან. ეს მეტად ნაყოფიერს ხდის აგიტატორის საქმიანობას.

მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა პოლიტიკური აგიტაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მხრივ მისაბაძია აგიტატორების ქ. მჭედლიშვილის და რ. მაისურაძის მუშაობა. ისინი თავიანთი საუბრით ხშირად აცნობენ კოლმეურნეებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მდიდარ გამოცდილებას. ამიტომაც აღნიშნულ კოლმეურნეობაში ბევრი გამოჩნდა ნოვატორთა მიმდევარი.

აგიტატორი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორი, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საქმის ინიციატორი და წამომწყები. ამ მხრივ დამახასიათებელია აგიტატორ ა. მლუშენკოს მუშაობის მაგალითი. წლების მანძილზე სოფელ ახალი ულიანოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მეცხოველეობა ძალიან ჩამორჩებოდა. მარტო შარშან, იმის გამო, რომ პირუტყვისათვის კარგი ბინა ვერ ააშენეს და ამასთან ვერ უზრუნველყვეს უხეში და კონცენტრიული საკვების საკმაო რაოდენობით დაგროვება, კოლმეურნეობაში 22 სული ძროხა დაეცა. ამას წინათ აგიტატორმა ა. მლუშენკომ მეცხოველეობის ფერმაში მომუშავე კოლმეურნეებს მიმართა:

— გუშინ ერეთისკარის წითელი ოქტომბრის სახელობის მეზობელ კოლმეურნეობაში გავეცანი მეცხოველეობის ფერმის მუშაობას. მსურდა გამეგო, თუ რით აღწევენ ამ სოფლის კოლმეურნეები მეცხოველეობაში დიდ წარმატებას. უნდა გითხრათ, რომ მათთან რაღაც განსაკუთრებულად იგრძნობა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების სურვილი. პირუტყვის სულადობის, პროდუქტიულობის ზრდის გეგმები მათ გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო ჭარბი და ნოყიერი საკვების მომარაგებასთან ერთად 120 სული პირუტყვის ტევადობის თბილი და ნათელი, კულტურული ბინა ააშენეს. ჩვენ ნაკლები შესაძლებლობანი როდი გვაქვს, რომ მეცხოველეობაშიც მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიოთ. ამაზე კი დღემდე სათანადოდ არ გვიფიქრია. თუ მთელი ძალით არ მოვკიდეთ ხელი პირუტყვისათვის დაწყებული ბინის მშენებლობას და მთლიანად არ შევაგროვეთ მინდორში გაფანტული თივა, წელსაც უთუოდ ერეთისკარელები გვაჯობებენ.

აგიტატორის საუბარმა ნაყოფი მოიტანა. ორი კვირის მანძილზე კოლმეურნეებმა შეძლეს ზამთრისათვის პირუტყვის საკვების მარაგი საგრძნობლად გაედიდებინათ, ხოლო პირუტყვისათვის საჭირო ბინის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

მაგრამ სააგიტაციო მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, მისი იდეურ-პოლიტიკური დონე და შინაარსი ყოველთვის როდი შეესაბამება ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანებს. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს პოლიტიკურ აგიტაციას. ხშირად ისინი მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებს იშვიათად და ისიც ფორმალურად ახორციელებენ. თვით პარტიის რაიკომი მათ ჯერ კიდევ ვერ უწევს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

რით უნდა ავხსნათ, თუ არა პირველადი პარტიული ორგანიზაციის დაუდევარი და უპასუხისმგებლო მუშაობით, ის ფაქტი, რომ ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში 12 აგიტატორიდან სისტემატურად არ აწყობს საუბარს 8 აგიტატორი. შემოწმებით გამოირკვა, რომ აგიტატორი გ. ბარბაქაძე თვითონ ვერ ერკვევა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო — პოლიტიკის საკითხებში, იშვიათად კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას და, როგორც თვითონვე ამბობს, ერთ კვირაზე მეტია მუშებთან საუბარი არ მოუწყვია.

სოფლად პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონე რომ ავამაღლოთ და იგი უფრო ქმედითი გავხადოთ, საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშაობა აგიტატორებთან, ყოველდღიურად წარვმართოთ და ვუხელმძღვანელოთ მათს საქმიანობას, გავუწიოთ მათ ყოველმხრივი დახმარება. სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამას ივიწყებს, არ მუშაობს აგიტატორებთან. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ პარტიის რაიკომი აგიტატორებთან მუშაობის პასუხსაგებ საქმეს მთლიანად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს აკისრებს. სწორედ ამის შედეგია, რომ მთელი რიგი აგიტატორები კარგად ვერ ერკვევიან უმნიშვნელოვანეს საკითხებში. მაგალითად, სოფელ აფენის საშუალო სკოლასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს თ. შუკაკიძეს ხშირად უხდება მოსახლეობაში საუბრის მოწყობა. მაგრამ რა უნდა განუმარტოს მან მშრომელებს, როცა მეტწილ საკითხებში სრულებით ვერ ერკვევა.

ამ უკანასკნელ ხანს მშრომელთა კულტურული მომსახურება გაუმჯობესდა. სინტერესოდ და შინაარსიანად ეწყობა კოლმეურნეთა თვითმოქმედების საღამოები ყარსუბანში, ბაისუბანში, არეშფერანსა და სხვა სოფლებში. მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ლაგოდეხის კულტურის სახლმა, რომელმაც წელს ექვსჯერ გამართა მხატვრული კონცერტი რაიონის ცენტრში და ცხრაჯერ უჩვენა მაყურებლებს საკუთარი ძალებით მომზადებული სპექტაკლები. ყოველივე ეს ხელს უწყობს მშრომელთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საკმარისია ითქვას, რომ სოფელ ბოლქვში იშვიათად უჩვენებენ ახალ კინოსურათებს. ამ სოფელში კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელებაში უმოქმედობას იჩენენ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. არ იგრძნობა ამ ორგანიზაციებისადმი დახმარება რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებიდანაც.

პარტიის ლაგოდეხის რაიკომი ამჟამად ყველა ზომას იღებს იმისაკენ, რომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა აყვანილ იქნას ახალი ამოცანების დონეზე. პოლიტიკურ აგიტაციაში ამჟამად მთავარია ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის გადაწყვეტილებებთან ერთად ღრმად და საფუძვლიანად განვუმარტოთ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიღებული დადგენილებანი, მტკიცედ დავრაზმოთ მასები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში დასახული გეგმების შესასრულებლად. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას პოლიტიკური აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უფრო ავამაღლოთ და ქმედითი გავხადოთ პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, დავრაზმოთ მთელი ძალები პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად შესასრულებლად — სოფლის მეურნეობის გადაუდებელი ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად.

გ. მირიანაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომ

ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება

გავამრავლებთ მიღწევებს

თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები.

ჩვენი შრომითი მეგობრობა დიდი ძალაა და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. მოძმე რესპუბლიკების ორი კოლმეურნეობის შეჯიბრება ხელს უწყობს პარტიისა და მთავრობის დავალებათა პატიოსნად და სანიმუშოდ შესრულებას, ხელს უწყობს ახალ წარმატებათა მოპოვებას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი არტელის კოლმეურნეებს დიდად ახარებთ ნატანებელთა შრომითი წარმატებანი და ამაყობენ ამ წარმატებებით. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები ზრდიან თავიანთი პლანტაციების მოსავლიანობას და წელიწადში იღებენ 10-11 მილიონ მანეთ შემოსავალს. საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი ზრდის შედეგად ნატანებელი კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ.

თავიანთ ქართველ ამხანაგებს არ ჩამორჩებიან ჩვენი კოლმეურნეობის მებამბეებიც. მათ შარშან სახელმწიფოს 1.500 ტონა მაღალხარისხოვანი ბამბა ჩააბარეს. კოლმეურნეობას აქვს დიდი ვენახები, ბოსტნები, მეცხოველეობის ხუთ ფერმაში გვყავს 7 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, მნიშვნელოვან შემოსავალს გვაძლევს სხვა დარგებიც (საფუტკრე, მეფრინველეობა). კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 5 მილიონ 200 ათასი მანეთი. ეს წარმატებები მოპოვებულია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით. ჩვენს მინდვრებსა და პლანტაციებს ამუშავებს სამი სატრაქტორო ბრიგადა, რომლებსაც 22 ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები აქვთ. მექანიზატორთა სახელოვანი კოლექტივი არ ზოგავს ძალასა და ენერგიას უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩვენმა სოფელმა სავსებით იცვალა სახე. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა კლუბის ახალი შენობა. ყოველ საღამოს, ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, ჩვენი კოლმეურნეები, სუფთად ჩაცმულები, ნახულობენ კინოსურათებს, ესწრებიან თვითმოქმედი წრეების მიერ მოწყობილ კონცერტებს. სოფელში მუშაობს ბიბლიოთეკა და სამკითხველო, „კოლმეურნეთა 200-ზე მეტ ოჯახს აქვს რადიომიმღები. სოფელს აქვს საშობაიარო სახლი, საავადმყოფო და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

ჩვენს კოლმეურნეობას ბამბის უხვი მოსავალი მოჰყავს. მებამბეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს ყოველ ჰექტარზე მოიყვანონ 30 ცენტნერი ბამბა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26,2 ცენტნერისა. სოციალისტური შრომის გმირის ს. ჰაკობიანის რგოლი იბრძვის იმისათვის, რომ ყოველ ჰექტარზე აიღოს 60 ცენტნერი ბამბა. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ჩვენმა მევენახეებმა, მეცხოველეებმა, მებოსტნეებმა, მშენებლებმა. კოლმეურნეობას განზრახული აქვს გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე აიღოს 75 ცენტნერი ყურძენი. ერთისამად გადიდდება გერანის პლანტაციები. საკვები ბალახების 200 ჰექტარი ფართობიდან ჩვენმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე აიღონ 150 ცენტნერი თივა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი კოლმეურნეობების წინაშე შლიან ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის ახალ პერსპექტივებს. ამ ისტორიული დოკუმენტის შესწავლისას ჩვენმა მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს მომავალ წელს ათასი სულით გაადიდონ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, გააუმჯობესონ მისი ჯიშიანობა.

დაიწყო ბამბის კრეფა, დამამზადებელ პუნქტს უკვე ჩაბარდა 450 ტონა მაღალხარისხოვანი ბამბა. ამ ძვირფასი კულტურის კრეფაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ვ. ფარსილიანი, ვ. დავთიანი, ა. გაბრელიანი, მერგოლურებმა ს. ჰაკობიანმა, ს. ივანიანმა, კოლმეურნე ქალებმა ა. მხითარიანმა, ს. ავაქიანმა და ბევრმა სხვამ, რომლებიც დღეში 165-170 კილოგრამ ბამბას კრეფენ.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები არ სჯერდებიან მიღწეულს, ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ გაამრავლონ ჩვენი წარმატებანი, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ სომხეთისა და საქართველოს მოძმე ხალხთა საუკუნეობრივ მეგობრობას, რომელიც ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში ახალ, უფრო დიდ სიმაღლეზე ავიდა.

ჯ. დავთიანი,

სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★

რამდენიმე წელია უხვი მოსავლის მოყვანისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობისა და ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. ამ დღეებში ნატანებელ კოლმეურნეთა დელეგაცია ესტუმრა მოძმე ნალბანდიანელ კოლმეურნეებს, საფუძვლიანად გაეცნო მათი მუშაობის გამოცდილებას და თანაც მოუთხრეს იმაზე, თუ როგორ შრომობენ ნატანებლები „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

ამის შესახებ მოგვითხრობს ამ გვერდში დაბეჭდილი მასალები.

★ ★

რა ვნახეთ მეგობრებთან

ნატანებელ კოლმეურნეთა ჩახვლა სომხეთში ხალხთა ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად იქცა. ჩვენ გულთბილად მიგვიღეს ოქტემბერიანის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, უდიდესი სიყვარულით შეგვეგებნენ მეგობარი ნალბანდიანელი კოლმეურნეები.

ოთხ დღეს ვეცნობოდით ჩვენი მეგობრების შემოქმედებითს შრომას. მრავალდარგოვანი, მაღალშემოსავლიანი მეურნეობა აქვთ ნალბანდიანელებს.

იქ ვნახეთ ქარვისფერი ყურძნით დატვირთული ვაზის, თვალუწვდენი თეთრი ოქროს — ბამბის პლანტაციები.

ვნახეთ ატმისა და ვაშლის დახუნძლული ხეები, რომლებსაც უჩვეულო მოსავლის სიმძიმის გამო ტოტები დაბლა დაეხარათ.

ვიყავით მეგობართა ბოსტნებში. საკუთარი თვალით დავრწმუნდით, თუ რა მაღალმოსავლიან დარგად შეიძლება გადავაქციოთ მებოსტნეობა, თუ მთელი სერიოზულობით მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს. ნალბანდიანის კოლმეურნეობაში მიღებულ გამოცდილებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების, კერძოდ, მებოსტნეობის განვითარების დარგში ფართოდ გამოვიყენებთ პრაქტიკულ მუშაობაში და წარმატებით შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს.

დავათვალიერეთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომებისა და ცხვრის ფარეხების მშენებლობა. მოწმენი გავხდით საკვების მომპოვებელი ბრიგადის დაუღალავი შრომისა. ყოველივე ამით ჩვენთვის ნათელი გახდა ის ზრუნვა, რასაც ნალბანდიანელი კოლმეურნეები საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის იჩენენ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა კეთილმოწყობილმა სანავშვო ბაღებმა და ბაგებმა, რომლებშიც მზრუნველებით უვლიან პატარებს, რითაც დედებს საშუალება ეძლევთ გულდამშვიდებით იშრომონ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

გავეცანით ბამბის უხვი მოსავლის ოსტატების სოციალისტური შრომის გმირების სათიკ პაკობიანის, ოქტემბერიკ ქოლეზიანის, ნეგუშ მელქონიანის, არფენიკ ვართანიანის, აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეების ქნარიკ ქოლეზიანის, ერანუი ვასილიანის, ოფიკ საფარიანის, ბაგრატ არუთინიანის, სამსონ სტეფანიანის, სოლომონ ვასილიანის და მრავალი სხვის შრომასა და ცხოვრებას.

დავათვალიერეთ სომხეთის სსრ დედაქალაქი ერევანი, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები, რამაც ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

გ. წითლიძე,
დელეგაციის ხელმძღვანელი.

დ. ტაკიძე,
სოციალისტური შრომის გმირი, მერგოლური.

ლ. გოგოტიშვილი,
სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნე.

ვ. გოლგაშვილაძე,
სოციალისტური შრომის გმირი, ბრიგადირი.



სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ სოციალისტური შრომის გმირები ნ. მელქონიანი, დ. ტაკიძე, ო. ქოლეზიანი, ლ. გოგოტიშვილი და მოწინავე მეჩაიე შ. ცენტერაძე.
ფოტო ჯ. ჩოლაგიანისა.

„სოვეტაკან ჰაიასტანის“ ფურცლებიდან

ორი რაიონის შეჯიბრება

სომხეთის რესპუბლიკურმა გაზეთმა „სოვეტაკან ჰაიასტანმა“ 24 სექტემბრის ნომერში მთელი გვერდი უძღვნა საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეთა დელეგაციის სტუმრად ყოფნას სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანში.

სხვა მასალებთან ერთად გაზეთში დაბეჭდილია სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების წერილი საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი. ამ წერილში სომეხი მეგობრები, გამოთქვამენ რა სურვილს გაფართოვდეს მომმე რესპუბლიკების ორ კოლმეურნეობას შორის გაჩაღებული შეჯიბრების საზღვრები და ამ შეჯიბრებაში ჩაბმულ იქნას ორივე რაიონის ყველა კოლმეურნეობა, მიმართავენ მახარაძელებს მოწოდებით გააჩაღონ შეჯიბრება ოქტემბერიანისა და მახარაძის რაიონებს შორის. საპასუხო წერილში, რომელიც დაბეჭდილია იმავე გვერდზე, მახარაძის რაიონის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ატყობინებენ ოქტემბერიანის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომ, განიხილეს რა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ თათბირზე სომეხი მეგობრების წერილი, ერთსულოვნად მოიწონეს მათი ინიციატივა ორი კოლმეურნეობის შეჯიბრების ორი რაიონის შეჯიბრებად გადაქცევის შესახებ. მახარაძელებმა ერთსულოვნად მიიღეს ოქტემბერიანელთა გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს მთელი რიგი გადიდებული ვალდებულებები.

როგორც სომეხი და ქართველი კოლმეურნეები თავიანთ წერილებში წერენ, ოქტემბერიანისა და მახარაძის რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელთა შეჯიბრება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, დაეხმარება მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების წარმატებით განხორციელებაში.

ნალბანდიანელთა წარმატებები

ციფრები და ფაქტები

◉ კოლმეურნეობას საბჭოთა სახელმწიფომ 3.000 ჰექტარი მიწა გადასცა უსასყიდლოდ უვადო, სამუდამო სარგებლობაში.

◉ ოქტომბრის რევოლუციამდე მთელს სომხეთში 600 ჰექტარი ბამბა ითესებოდა და ჰექტარზე საშუალოდ 5-6 ცენტნერ მოსავალს იღებდნენ. ამჟამად კი მარტო ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში 735 ჰექტარი ბამბის ნათესი აქვთ და ჰექტარზე საშუალოდ 26,2 ცენტნერის ნაცვლად 30 ცენტნერ მოსავალს იღებენ.

◉ კოლმეურნეობის შემოსავალმა შარშან 5.200.000 მანეთი შეადგინა და შრომადღეზე 8,4 მანეთი გაიცა. წელს საერთო შემოსავალი 8 მილიონ მანეთს გადააჭარბებს და შრომადღეზე 16 მანეთამდე გაიცემა.

◉ კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდში გასულ წელს 1.302.000 მანეთი ჩაირიცხა. წელს კი განუყოფელი ფონდი 1.400.000 მანეთით შეივსება.

◉ გაცხოველებული ტემპით აგებენ ვარდისფერი თლილი ქვისაგან კოლმეურნეობის კანტორის ორსართულიან შენობას, რომელიც 1.500.000 მანეთი დაჯდება. წარმოებს აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 2 სადგომის, ცხვრის ფარეხის და ბამბის საშრობი ფარდულის მშენებლობა.

◉ ამას წინათ დამთავრდა მთელი სოფლის ელექტროფიკაცია. კოლმეურნეობაში მუშაობს ელექტროწისქვილი და სახერხი ქარხანა.

◉ მთელი კოლმეურნეობა რადიოფიცირებულია. კოლმეურნეობის 500-ვატიანი რადიოკვანძი აქ 600 რადიოწერტილ ამუშავებს. რადიოკვანძი მომსახურებას უწევს აგრეთვე მეზობელ სოფლებს გეტაშენსა და შენავს.

◉ წინათ ამ სოფელში არავითარი კულტურული დაწესებულება არ იყო. ახლა კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო კლუბი აქვთ, რომელიც 400 მაყურებელს იტევს. კლუბთან მუშაობს დრამატული, მომღერალთა, მოცეკვავეთა და ლიტერატურული წრეები.

◉ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერაკითხვის უცოდინარი იყო. ახლა კი ამ სოფლიდან გამოსული 150 უმაღლესი განათლების მქონე კაცი მუშაობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო 60-მდე კაცი ამჟამად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.

◉ მევენახეობას კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს. მისი ფართობი 173 ჰექტარს უდრის. კოლმეურნენი ყოველწლიურად ზრდიან ყურძნის მოსავლიანობას. წელს საშუალოდ ჰექტარზე 55 ცენტნერის ნაცვლად 75 ცენტნერ ყურძენს მოკრეფენ.

◉ საკოლმეურნეო წარმოების გასაფართოებლად კოლმეურნეობამ შარშან სახელმწიფოსაგან 90.000 მანეთი კრედიტი მიიღო. წელს კი უკვე მიღებულია 100.000 მანეთი.

◉ საკოლმეურნეო მინდვრებზე სახელმოხვეჭილი ადამიანებიდან 5 კოლმეურნე სოციალისტური შრომის გმირია. 50-ზე მეტი კაცი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

◉ კოლმეურნეობაში 4 მუდმივი და 6 დროებითი სანავშვო ბაგა და ბაღია.

◉ კოლმეურნეობაში მცხოვრები 800 კომლიდან მხოლოდ 250 კომლს ჰყავდა ძროხა. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ 15 კოლმეურნემ უკვე შეიძინა ძროხა. წლის ბოლომდე თითქმის ყველა ოჯახს პირად საკუთრებაში ეყოლება საკუთარი ძროხა.

დიადი მეგობრობა

1. ასე დაიწყო შეჯიბრება

თხუთმეტი წლის წინათ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს სომხეთის სსრ სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს და მოუთხრეს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დარგში შეძენილი თავიანთი გამოცდილების შესახებ.

ნატანებელ კოლმეურნეთა მეგობრულმა წერილმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სომეხ კოლმეურნეთა შორის.

მოძმე კოლმეურნეები თავიანთ ყველა წარმატებას სიხარულით აცნობდნენ ერთმანეთს. გადაწყდა ჩაბმულიყვნენ ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

1938 წლის 12 ნოემბერს ნატანების კოლმეურნეობას მის წევრთა მიწვევით ესტუმრა სომეხ კოლმეურნეთა დელეგაცია და ორ კოლმეურნეობას შორის ოფიციალურად გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების პირველი ხელშეკრულება.

ორ მოძმე კოლმეურნეობას შორის სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო გაძლიერდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შემდეგ, როცა პარტიამ და მთავრობამ სასიცოცხლო, საყოველთაო-სახალხო ამოცანად დასახეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უხვად მომარაგება უმოკლეს ვადაში. შეჯიბრება გაცდა ორი კოლმეურნეობის ფარგლებს. ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ უკვე სომხეთის სსრ ოქტემბერიანისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონები.

2. ოქტემბერიანი დღეს

სომეხ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ხალხებს, თავისუფალი, ბედნიერი და საამური ცხოვრება დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა. სწორედ ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად ეწოდა ამ რაიონულ ცენტრს ოქტემბერიანი, ხოლო რაიონს — ოქტემბერიანის რაიონი.

რაიონის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს სოფლის მეურნეობას. ყველა კოლმეურნეობა მილიონერია. სოფელ ოქტემბერიანის ლენინის, ნალბანდიანის მიქოიანის, არმავირის ჟდანოვის, მრგაშატის სტალინის და აიგაშატის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა შემოსავალი თვითეულის ხუთ-შვიდ მილიონ მანეთს აჭარბებს.

რაიონში მევენახეობა-მეხილეობის ექვსი მძლავრი და ერთი გერანის საბჭოთა მეურნეობაა. კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებული სამი მტს-ი, რომელთაგან ერთი საყრდენ-საჩვენებელია.

კარგად არის განვითარებული მებამბეობა. კოლმეურნეობები ყოველწლიურად 5.580 ჰექტარ ბამბას თესავენ. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას, მებოსტნეობას, მოჰყავთ პური, გერანი.

რაიონში არის ორი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური — „ოქტემბერიანჰესი“ — არაქსის არხზე და „ჰაიკავანჰესი“ — დიდი სარტარაბადის არხზე, რომლებიც იმდენ ელექტროენერგიას იმუშავებენ, რაც სავსებით საკმარისია მთელი რაიონის ელექტროფიკაციისათვის.

3. ნალბანდიანელ კოლმეურნეებთან

ცნობამ სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში დელეგაციის გაგზავნის შესახებ დიდად აღფრთოვანა ნატანებელი კოლმეურნეები. დელეგაციაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მერგოლურმა დ. ტაკიძემ, სოციალისტური შრომის გმირმა, ბრიგადირმა ვ. გორგილაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა კოლმეურნე ლ. გოგოტიშვილმა, სტახანოველმა კომკავშირელმა შ. ცენტერაძემ. კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანმა ალ. მიმინოშვილმა, კოლმეურნეებმა — ი. ცენტერაძემ, ე. დონაძემ. კოლმეურნეთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარტიიუროს მდივანი ამხ. გ. წითლიძე. დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წარმომადგენელი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მ. დარასელია, მწერალი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ჭეიშვილი.

ქართველ კოლმეურნეთა წარმომადგენლები სიყვარულით მიიღეს სომეხმა მეგობრებმა. საღამოს გაიმართა კოლმეურნეთა კრება. ნატანებელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ნალბანდიანის კოლმეურნეობას მეგობრობის ნიშნად საჩუქრად გადასცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, გენიალური ლენინის დიდი პორტრეტი, რასაც დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლენინის ორდენოსანმა ამბარცუმ დავთიანმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს ძვირფასი საჩუქრისათვის და კოლმეურნეთა სახელით პიროობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის.

• • •

ქართველი კოლმეურნეები გულდასმით გაეცნენ სომეხ კოლმეურნეთა შემოქმედებითს შრომას, მათს წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. აი დელეგაცია ბრიგადირ ვასილ სოლომონიანის ნაკვეთშია. ამ ბრიგადას აქვს გაშენებული „კახეთის“, „ერევნის“, „გარანდმაგის“ და „ნაზენის“ ჯიშის ვაზები. წელს ყურძნის დიდი მოსავალია. — 65 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერზე მეტ ყურძენს მოვკრეფთ, — ამაყად აცხადებს ბრიგადირი.

თვალუწვდენი ბამბის პლანტაციები... კოლმეურნეები ოსტატურად კრეფენ ბამბის უხვ მოსავალს. გამოჩნდა მერგოლურ ქნარიკ ქოლეზიანის ნაკვეთი. ქნარიკი ხალისიანი, შრომისმოყვარე გოგონაა. იგი ყოველდღიურად 80 კილოგრამის ნაცვლად 150-200 კილოგრამ ბამბას კრეფს. ქ. ქოლეზიანის რგოლს მოსავლელად მიჩენილი 17,5 ჰექტარი ბამბის პლანტაცია სანიმუშოდ აქვს დამუშავებული. — თვითეული ჰექტარიდან 26,2 ცენტნერის ნაცვლად — 40 ცენტნერზე მეტ ბამბას მივცემთ დედა-სამშობლოსო, — აცხადებს ქოლეზიანი.

დელეგაციის წევრთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია კოლმეურნეობის ბოსტნის დათვალიერებამ, სადაც ბრიგადირმა ბაგრატ არუთინიანმა სტუმრებს გააცნო თავისი მდიდარი გამოცდილება ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი მებაბეობას ეკუთვნის. გეგმით ყოველ ჰექტარზე 26,2 ცენტნერი მოსავალი უნდა მიიღონ. შეჯიბრებაში ჩაბმისას კი ვალდებულება აიღეს ჰექტარზე მოიყვანონ 30 ცენტნერი ბამბა. ბამბის უხვი მოსავლის მიღების საქმეში სახელი მოიხვეჭა იმ ბრიგადამ, რომელსაც ცოლაკ ქოჩარიანი ხელმძღვანელობს. ბრიგადას 52 ჰექტარი ბამბა აქვს და თვითეულ ჰექტარზე 26,2 ცენტნერის ნაცვლად 50 ცენტნერ მოსავალს ელოდება. დიდ წარმატებას აღწევს ამ ბრიგადის ის რგოლი, რომელსაც ჰეღუშ მარტიროსიანი ხელმძღვანელობს. ჰეღუშის რგოლი წელს მოსავლელად მიჩენილი 17 ჰექტარი ბამბის პლანტაციის თვითეული ჰექტარიდან 26,2 ცენტნერის ნაცვლად 60 ცენტნერ ბამბას ჩააბარებს სახელმწიფოს.

4. ახალი ვალდებულებები

ნალბანდიანელმა კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებების აღებით უპასუხეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებას. კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაადგინა უჯიშო პირუტყვი ჯიშიანი, მაღალპროდუქტიულით შეცვალონ. მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით იონჯის ნათესი ფართობი გაადიდონ ერთიორად, ააგონ მსხვილფეხა პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი სადგომი, ფარეხი და ბამბის საშრობი ფარდული.

კოლმეურნეთა ვალდებულებაა აგრეთვე 200 ჰექტარამდე გაადიდონ ბოსტნეული კულტურების ნათესი.

წინათ კოლმეურნეებს უფლებას არ აძლევდნენ პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვი ეძოვებინათ კოლმეურნეობის ფართობში, ამის გამო ბევრ ოჯახს ძროხა არა ჰყავდა. ახლა გადაწყდა კოლმეურნეებს მიეცეთ ავანსი მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანგარიშში ძროხების შესაძენად, აგრეთვე ყოველგვარი დახმარება გაეწიოს მათ საკუთარი პირუტყვისათვის საკვების მომარაგების საქმეში.

5. აქედან სიცოცხლე მოდის

ქ. ერევნიდან ოქტემბერიანის რაიონის დასავლეთ საზღვრამდე თვალუწვდენ სივრცეზე გაშლილია ცნობილი არარატის ველი. ხანგრძლივი გვალვების გამო ეს უსაზღვრო სივრცე წინათ მკვდარი, არაფრის მომცემი იყო. უხვწყლიანი არაქსის წყლით ამ ველის მორწყვა წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობებისათვის მხოლოდ ოცნებას წარმოადგენდა.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხი ახალი ცხოვრების აშენებას შეუდგა. 1924 წელს ოქტემბერიანის მახლობლად მდინარე არაქსზე დაიწყო კაშხალის აგება. ეს იყო სახალხო მშენებლობა, რომელშიც თითქმის მთელი სომეხი ხალხი მონაწილეობდა. 1930 წელს მშრომელებმა იზეიმეს არაქსის მძლავრი არხის გახსნა, რომლის საშუალებით მდინარე არაქსის წყალი უხვად იპკურა საუკუნეების მანძილზე დაწყვარმა არარატის ველმა.

ამიერიდან შეიცვალა თვით არარატის ველის სურათიც. აქ გაჩნდნენ ახალი სოფლები, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. გაცოცხლდა მკვდარი მიწა, მწვანით შეიმოსა იგი. ყურძენი და ბამბა, ხორბალი და გერანი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და ხეხილის ბაღები, ერთი სიტყვით, რას ინებებთ, რომ ახლა არ იძლეოდეს არარატის ბარაქიანი ველი, რომელსაც სომხეთის ბელელსაც ეძახიან.

კოლმეურნეთა დელეგაციამ ინახულა ის კაშხალი, საიდანაც სიცოცხლე მოდის არარატის ველზე. საოცარი სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ. მდინარე არაქსის გამოღმა, საბჭოთა ტერიტორიაზე ყველაფერი ჰყვავის, ამწვანებულია, საკოლმეურნეო მინდვრებზე ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანები გუგუნებენ. არაქსის გაღმა, არარატის ველის თურქეთის ტერიტორიაზე გვალვისაგან ყველაფერი გადამწვარი, გადაყვითლებულია. იქაური გლეხი კვლავ მამაპაპური კავით ჩიჩქნის აბედივით გამომშრალ მიწას და შიმშილისაგან მომაკვდავ ცოლ-შვილს რომ შეჰყურებს, გაჩენის დღეს იწყევლის. თურქეთის მმართველი ხროვა, რომელიც საბოლოოდ მიეყიდა ამერიკელ იმპერიალისტებს, თავიანთი მბრძანებლების განკარგულებით მთელ თავის ბიუჯეტს ახალი ომისათვის მზადებას ახმარს და ხალხის საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის თავს არ იწუხებს.

• • •

დაღამდება თუ არა, არარატის ველის საკოლმეურნეო სოფლებსა და საბჭოთა მეურნეობებში ილიჩის ნათურები აელვარდებიან. შემოქმედებითი შრომის შემდეგ კოლმეურნეები ელექტროშუქზე გაზეთებს გაშლიან, ზოგნი რადიომიმღებს ჩართავენ, უფრო ახალგაზრდები კი სიმღერასა და ცეკვა-თამაშს გამართავენ. დიახ, ასე არის არარატის ველის გამოღმა, საბჭოთა მხარეს.

სულ სხვა სურათია არარატის ველის გაღმა, — თურქეთის ტერიტორიაზე. ჯოჯოხეთური სიბნელე ისადგურებს იქ, მშრომელთა კვნესა და ქვითინი ისმის.

არარატის ველის ეს ორი სურათი ნათელ წარმოდგენას აძლევს მნახველს ორი სისტემის — სოციალისტურისა და კაპიტალისტური სისტემების შესახებ, იგი ნათლად წარმოგვიდგენს სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე. არარატის ველის საბჭოთა ტერიტორიაზე ნახული სურათი იმის ამკარა განსახიერებაა, თუ როგორ დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა განუხრელად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ვ. ჯაყელი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
ოქტემბერიანი, სომხეთის სსრ.

ჩიხი ვაშინგტონში

★

ილია ერენბურგი

★

პირველი წელიწადი როდია, რომ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის გაზეთები სავსეა ცნობებით იმ იარაღის ახალ სახეობათა შესახებ, რომელიც განკუთვნილია მილიონობით მშვიდობიანი ადამიანის მოსახსპობად. გაზეთები ამ იარაღს უძღვნიან ფილოსოფიურ მსჯელობებსაც, პოლიტიკოსების ან სამხედრო პირების მიერ დაწერილ სტატიებსაც, გულისამაჩუყებელ ნოველებსაც და მაღალი საზოგადოების ქრონიკასაც კი. ფიქრები წლითიწლობით უფრო დარდიანი ხდება, პროექტები და ვარაუდები სულ უფრო უგულვებელი, ხოლო ნოველები სულ უფრო უნუგეშო. ერთი ბომბი ცვლის მეორეს. სიკვდილისმომტანველი იარაღისადმი ინტერესი განსაკუთრებით უკანასკნელ კვირეებში გაძლიერდა. ამერიკისა და დასავლეთ ევროპის გაზეთების მოწინავე სტატიები მოგვაგონებენ იმ ყალთაბანდებისა და ხალხსების შელოცვებს, რომლებიც 999 წელს, შუა საუკუნეთა ყველაზე შავბნელ ხანაში, წინასწარმეტყველებდნენ, ცა აუცილებლად დედამიწას დაეცემა და ქვეყნიერების აღსასრული დადგებაო.

იმ პოლიტიკაში, რომელიც მისმა ავტორებმა „ატომურ“ პოლიტიკად მონათლეს და რომელსაც ახლა მზად არიან „წყალბადის“ პოლიტიკა გადაარქვან, ბევრი რამ ტრაგიკულია ან და კომიკურიც. ტრაგიკულია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში წინდაუსედავმა და სინდისგარეცხილმა ადამიანებმა გადაწყვეტეს იმისათვის გამოიყენონ დიდ მეცნიერთა შესანიშნავი აღმოჩენები, რომ მილიონობით მოხუცი, ქალი და ბავშვი მოსპონ და მსოფლიო დაიმორჩილონ. მე არ დავიმოწმებ იმ ამერიკელ კონგრესმენთა მრისხანე სიტყვებს ან სტატიებს, რომლებიც არა მგონია შეიძლებოდეს მივაკუთვნოთ გულისა და გონების მქონე არსებათა რიცხვს. ვეხები რა იმას, თუ რა ტრაგიკულია განუწყვეტელი ლაპარაკი სიკვდილისმომტანველ ახალ იარაღზე, მე დავჯერდები მოგონებებს: ძნელია წარმოვიდგინოთ ისტორიკოსი, რომელიც სიამაყით მოიხსენებს ბიროსამის დაღუპვას. მაგრამ ატომური ან წყალბადის ბომბის გარშემო ფუსფუსში ცუდი კომედიის ელემენტებიც არის: ეს არის იგავი იმ ადამიანზე, რომელსაც უნდოდა ყველა გაეძარცვა, ტრაბახობდა და იმუქრებოდა, ყოველ ურჩს მოვსპობო, რომელსაც უნდოდა ყველა დაეფრთხო და რომელმაც საბოლოო ანგარიშით თავისი მუქარით საკუთარი თავი დაიფრთხო.

ჩვენ გვახსოვს, რა აღტაცებული იყვნენ ატლანტის ოკეანეს გაღმა მცხოვრები უკაკუო ადამიანები ატომის ბომბით. ამ ბომბს მათ ქალის სახელი „ჰილდა“ დაარქვეს, მას ქადაგებებსა და პოემებს უძღვნიდნენ; გაქნილი კომერსანტები საყავეებს, კალმებს, ბიუსტჰალტერებსაც კი „ატომურს“ არქმევდნენ. უკაკუო ადამიანები დარწმუნებული იყვნენ, რომ ასეთი იარაღი შექმნეს, რომლის საშუალებით ყველა ხალხის დაჩოქებას შეძლებდნენ. ყოველ გონიერ ადამიანს კი, რომელიც ისტორიას იცნობს, მაშინაც შეეძლო მოესაზრებინა, რომ მეცნიერება მარტო ერთ ქვეყანაში რიდი ვთარდება და რომ, როცა ერთი სახელმწიფო მეორეს ასალი სახის იარაღით ემუქრება. მეორე სახელმწიფო, თავისი უშიშროება რომ დაიცვას, იმავე იარაღს იჩენს. ამერიკის ერთ-ერთი მეცნიერი ლეი-თავის თანამემამულეებს აფრთხილებდა, რომ სასაცილოა დაამყარო ვარაუდი ამა თუ იმ სახის იარაღზე, რომ ასეთი ვარაუდი მეცნიერების ახლანდელი მდგომარეობის დროს ფიქციაა, თავის მოტყუებაა. მაგრამ ის, რაც ამერიკის მეცნიერებს ესმოდათ, მიუწდომელი იყო მისი დიპლომატებისათვის. ამ უკანასკნელთ მიანნდათ, რომ, რაკი ატომური იარაღით დამუქრებოდნენ, ხელი იგდებდნენ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც უკვე მოხვდნენ მათს ბადეში, და სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც არ აპირებენ ხელი აიღონ თავიანთ დამოუკიდებლობაზე. ამრიგად, მეცნიერთა შესანიშნავი აღმოჩენები გადაიქცა ჭუჭყიან ბანქოდ ბაკია, მაგრამ უმკაცო მოთამაშის ხელში.

ახლულ მილიონობით ადამიანი მოითხოვდა ატომური იარაღის აკრძალვას, და სტოკჰოლმის მოწოდებას ხელს აწერდნენ სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანები. მაგრამ წინდაუსედავ პოლიტიკოსებს არ სურდათ ანგარიშა გაეწიათ ხალხთა ნებისათვის. მათი მორჩილი ფილოსოფოსები, მოქადაგენი, ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, ატომური ბომბი „დასავლეთის ცივილიზაციას“ ურწმუნოთა თავდასხმისაგან იცავსო. „ჰილდას“ წმინდანად შერაცხვას უპირებდნენ, როცა პირველი გაწბილება მოხდა: საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ ატომური ბომბი შეერთებული შტატების მონოპოლია არ არის.

ორმოცდარვა შტატის მიამიტი ობივატელები, სიკვდილისმომტანველი იარაღის შექმნით დამფრთხალნი, პანიკამ მოიცვა. ის ამერიკელები, რომლებიც ჯერ კიდევ წინადღეს ხოტბას ასხამდნენ „ჰილდას“, ავად გახდნენ ნევრასტენიით, და ბევრთები აქვეყნებდნენ ცნობებს მთელ რიგ თვითმკვლელობათა შესახებ. ზოგიერთმა სენატორმა მოითხოვა სენატის სხდომების გადატანა რომელიმე გვირაბში უმაღლესი მთის ქვეშ. გაქნილი არქიტექტორები შეშინებულ ბიზნესმენებს მიწისქვეშა სახახლეებით აცდუნებდნენ.

მაგრამ საბჭოთა კავშირი სავსებით მშვიდობისმოყვარედ იყო განწყობილი და კვლავ უპირდა მხარს თავის წინადადებას: დაგმობილ იქნას და აიკრძალოს ატომური იარაღის ხმარება. რა გაკეთეს მაშინ ამერიკის წინდაუხედავმა პოლიტიკოსებმა? იქნებ სცადეს შეთანხმების გზა

ილია ერენბურგი

გამოენახათ? არა, მათ გადაწყვიტეს ახალი ბანქო გამოეყენებინათ: საჩქაროდ დაუწყეს რეკლამის კეთება წყალბადის ბომბს. „ჰილდა“ ჩამოქვეითდა, იგი ახალმა, ფავორიტმა — „ეიტჩ ბომბმა“ შეცვალა.

ხოლო როცა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის გაზეთებმა მოასწრეს საკმაოდ დაეფრთხოთ თავიანთი მკითხველები წყალბადის ბომბის საშინელ თვისებათა აწერით, როცა მათ გადაწყვიტეს, რომ ისევე ზუსტად, როგორც ორჯერ ორი ოთხია, „ეიტჩ ბომბით“ დაშინებული საბჭოთა კავშირი შეწყალებას ითხოვსო, — გამოირკვა, რომ წყალბადის ბომბიც სრულებითაც არ არის ამერიკის მონოპოლია. ჩვენ ვხედავთ ნაცნობ სურათს: ვინც სხვას აშინებდა, თვითონ იმდენად შეშინებულა, რომ ხალი გონება დაუკარგავს. თუმცა ახლა ყველამ იცის, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა, რომ მისი პოლიტიკა, როგორც საგარეო, ისე საშინაო, ცხადყოფს მის მშვიდობისმოყვარულ განზრახვებს, ამერიკის დიპლომატები ირწმუნებიან, რომ თითქოს კატასტროფა მოხდა: რაღა გვეშველება, უსაშინელესი იარაღი მეორე მხარის ხელში აღმოჩნდაო!

ბ-ნმა დალესმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ წყალბადის ბომბი ემუქრება „ცივილიზაციის არსებობას იმ ფორმით, როგორც იგი ჩვენთვის არის ცნობილი“. მიუხედავად მთელი ჩემ- პატივისცემისა ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებისადმი, არ შემიძლია არ აღვნიშნო ასეთი სიტყვების კომიკურობა. მრავალი წლის მანძილზე ხომ მსოფლიოს ხუთივე ნაწილის უდიდესი მეცნიერები, სოციოლოგები, მწერლები მოითხოვდნენ ატომური იარაღის აკრძალვას და აღნიშნავდნენ, რომ იგი ცივილიზაციას ემუქრება. ბ-ნი დალესი მაშინ არ ეთანხმებოდა მათ, იგი დარწმუნებული იყო, რომ საკვდილისმომსესელი იარაღი, რამდენადაც „ იგი მხოლოდ მისი კოლეგიების ხელშია, მხსნელია ცივილიზაციისათვის. მე არ ვიცი, რას გულისხმობს ბ-ნი დალესი, როცა ლაპარაკობს ცივილიზაციაზე „იმ ფორმით, როგორც იგი მისთვის არის ცნობილი“. შესაძლოა, იგი ცივილიზაციას არ აკუთვნებდეს არც მოსკოვის უნივერსიტეტს, არც ლენინის ბიბლიოთეკას, არც ულიო-კიურის შრომებს, არც პეკინის სიძველეებს, არც იმ ქვეყნებისა და ადამიანების სხვა მიღწევებს, რომლებსაც მისი თანამოაზრენი „წითლებს“ უწოდებენ. მაგრამ თუ საბჭოთა კავშირს იმ სახის იარაღი აქვს, რომელიც შეერთებულ შტატებსაც აქვთ, რატომ ემუქრება ეს ვაშინგტონის კაპიტოლიუმს ან ნიუ-იორკის ცათამბჯენებს?

ამერიკის პოლიტიკოსები კი არათუ არ ცდილობენ დაამშვიდონ თავიანთი თანამემამულენი, არამედ ისწრაფვიან შრომშვან პანიკა. 25 სექტემბერს ატომის ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, კომისია „გაურკვეველი მიმართულებით წავიდა“ და შექმნილ მდგომარეობას ყველასაგან საიდუმლოდ განიხილავთ. იმავე დღეს ნიუ-იორკის მცხოვრებლები გაანაირეს საცდელი „ატომური“ განგაშით: ღრიალებდნენ სირენები; რადიოსადგურები გადაცემდნენ გაუგებარ გადაცემებს, რომ გზაკვალი აერიათ „მოწინააღმდეგის“ თვითმფრინავებისათვის; ნერვებაშლილი ადამიანები ისტერიკამდე მიიყვანენს. ატომის ენერგიის კომისიის უოფილმა თავმჯდომარემ ბ-ნმა დინმა იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა, რომ განეცხადებინა, რამდენადაც საბჭოთა კავშირს წყალბადის ბომბიც აქვს, „საჭიროა გადამწყვეტი შეტაკება დავაჩქაროთო“. ბ-ნი დინი თავის მოუთმენლობას ამით ახსაუთებს, რომ ამერიკაში თითქოს მეტია ბომბები. მაგრამ იგი უმალვე, თავისი მტკიცების საწინააღმდეგოდ, აღიარებს, რომ მან, აგრეხიულად განწყობილმა ბ-ნმა დინმა, კიდევაც რომ მოახერხოს მოწინააღმდეგის ორჯერ მოსპობა, ეს მას სრულებითაც ვერ გაახარებს, რამდენადაც მოწინააღმდეგეს შეუძლია ერთხელ მაინც მოსპოს თვით ბ-ნი დინი. რაც შეეხება ამერიკელ გენერლებს, ისინი ფრიად ხალეპიკურად ეკიდებიან ბ-ნ დინის შელოცვებს. უნდა ითქვას, რომ კორეის წვიმები სახარგებლო შაპი იყო ბევრი ატლანტიკისგაღმელი ნევრასტენიკისათვის და რომ გატეხილმა გობმა, რომლის წინაც ისინი პანმინჯონში აღმოჩნდნენ, ისინი რამდენადმე გამოაფხიზლა.

ჩვენ მოწმენი ვართ შანტაჟის, სიცრუისა და სისულელის პოლიტიკის კრახისა. ყოველმა კრიმინალისტმა იცის, რომ ისინი, ვინც შანტაჟს ეწევა, ადრე თუ გვიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდება; ადრე თუ გვიან სიცრუე გამოაშკარავდება ხოლმე, ხოლო სისულელე ცხადი ხდება. ვაშინგტონში ქუჩები სწორია და იქ ჩიხები არ არის, ეს შეეხება ქალაქის არქიტექტურულ გეგმას. მაგრამ ვაშინგტონში მცხოვრები პოლიტიკოსები, რომლებმაც დაშინებაზე გაიწაფეს ხელი, ჩიხში მოხვდნენ, ეს შეეხება მათს სტრატეგიულ გეგმებს. ყოველ ადამიანს ესმის, რომ ავტომობილისტმა, რომელიც ჩიხში მოხვდება, მანქანა უნდა მოაბრუნოს. მაგრამ ვაშინგტონში მცხოვრებ პოლიტიკოსებს არა სურთ თავი დაალწიონ ჩიხს, ისინი ყვირიან, ხიგნალს იძლევიან და ფიცულობენ, რომ პირდაპირ გაიელვიან.

რატომ ასე ჯიუტობენ ისინი მუქარიხა და მოტყუების თავიანთ პოლიტიკაში? მე ვფიქრობ, რომ ეს დაკავშირებულია ყველა ხალხის მზარდ წინააღმდეგობასთან. მსოფლიოში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. მართალია, დასავლეთ გერმანიაში ამერიკელი დიპლომატების ენერგიული ხელშეწყობით მკვდრეთით დგებიან რევანშისა და აგრესიის ძალები. მართალია, გენერალმა ფრანკომ საჯაროდ მიპყიდა ესპანეთის უბედური მიწა-წყალი ოკეანესგაღმელ სტრატეგებს. მაგრამ განა შეიძლება გადარჩენილი სს-ელებისა და ფალანგისტების შემწეობით მსოფლიოს დამონება?..

ჩვენ ვხედავთ, როგორ სულ უფრო დაჟინებით და მტკიცედ მოითხოვს ინგლისელი ხალხი „ცივი ომის“ დამთავრებას. ჩვენ ვხედავთ მშვიდობისმოყვარე ძალების ზრდას საფრანგეთსა და იტალიაში (ამ ქვეყნების შესახებ ამერიკის წინდაუხედავი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ დაუფარავი გაბრაზებით, როგორც ხასების შესახებ, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათი მოწყალე ნდობა).

ჩვენ ვხედავთ, როგორ ძლიერდება პრესტიჟი ქვეყნისა, რომლებიც „ძალის პოლიტიკას“ ეწინააღმდეგებიან, — მაგალითად, ინდოეთის პრესტიჟი. ბოლოს, ჩვენ ვხედავთ, რომ შეერთებულ შტატებში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმა ადამიანებისა, რომლებიც ცდილობენ მშვიდობიანი გზით გადაკრან სადავო საკითხები.

საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, მისმა ნათელმა წინადადებებმა, რომ გამოსახულ იქნას ისეთი შეთანხმების გზა, რომელიც ყველასათვის იქნება მისაღები, უკანასკნელი არგუმენტები წაართვა ატომისა და წყალბადის დიპლომატიის თაყვანისმცემლებს. მათ ისლა დარჩენიათ, რომ თავდაუჭერლად იყვირონ.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც განუწყვეტლივ ემუქრებოდნენ ატომისა და წყალბადის იარაღის გამოყენებით, იძულებული იყო თავისი უშიშროების დასაცავად გამოეგონა იმ სახეობათა იარაღი, რომლებითაც მას ძალის პოლიტიკის დამცველნი ემუქრებოდნენ. მაგრამ საბჭოთა კავშირს არაერთხელ წამოუყენებია წინადადება ატომისა და ატომის ენერგიის ბრძოლა-ბრძოლა ბ-ნი დალესი, რა წინადადებასაც უნდა იძლეოდეს სულიერად უწონასწორო ბ-ნი დინი, რა ძალიერადაც უნდა ღრიალებდნენ ნიუ-იორკის სირენები, ყველა ადამიანს, მათ შორის ამერიკელებსაც სურს სიცოცხლე და არა სიკვდილი ყველა ხალხს, მათ შორის ამერიკელ ხალხსაც, სურს მშვიდობა. თუ ამერიკის ზოგიერთი წინდაუხედავი პოლიტიკოსი ჩიხში აღმოჩნდა, მათ შეიძლება ვუჩჩიოთ დამშვიდდნენ, სული მოითქვან და ჩიხიდან გამოვიდნენ. მსოფლიოს ხალხებს აღარა სურთ შფოთიანი ცხოვრება მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ რიგ ატლანტიკისგაღმელ დიპლომატებს არა აქვთ არც გონება, არც სინდისჯე, არც ხვალინდელი დღის დანახვის უნარი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ხალხები, მათ შორის ამერიკელი ხალხიც აიძულებენ ამ დიპლომატებს გამოვიდნენ ჩიხიდან. რაც შეგვეხება ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ყველაფერს გავაკეთებთ — შრომით, სიმშვიდით, სიდინჯით, ყველა ხალხისადმი, მათ შორის ამერიკელი ხალხისადმი, ჩვენი მეგობრული დამოკიდებულებით, — რათა მოვაახლოოთ ნამდვილი მშვიდობისა და ქვეყნებს შორის კეთილი თანამშრომლობის დღე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

5 ოქტომბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ დილით გაიმართა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. უშიშროების საბჭოს 3 არამუდმივი წევრის არჩევა; 2. ეკონომიური და სოციალური საბჭოს ექვსი წევრის არჩევა; 3. სამეურვეო საბჭოს ორი წევრის არჩევა; 4. მეხუთე კომიტეტის მოხსენება დამატებითი საბიუჯეტო ფონდების საკითხზე; 5. მეხუთე კომიტეტის მოხსენება, რომელიც შეიტავს გასული საფინანსო წლის ფინანსურ ანგარიშს; 6. ბავშვთა დახმარების საერთაშორისო საგანგებო ფონდის მუშაობის განგრძობა მუდმივ საწყისებზე; 7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ ორგანიზაციათა გენერალური დირექტორების წარდგენა გენერალური ასამბლეისათვის.

პლენარულმა სხდომამ თავისი მუშაობა დაიწყო უშიშროების საბჭოს სამი არამუდმივი წევრის არჩევნებით. მათ უნდა შეცვალონ ჩილი, საბერძნეთი და პაკისტანი, რომლებსაც რწმუნებების ვადა უთავდებათ 1953 წლის 31 დეკემბერს. არჩევნების წინ განცხადებისათვის სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

მე ვფიქრობ, განაცხადა ვიშინსკიმ, რომ ჩვენთვის საჭირო არ არის სპეციალურად აღვნიშნოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უშიშროების საბჭოსი, რომელსაც ჩვენი წესდება და, კერძოდ, 24-ე მუხლი აკისრებს „მთავარ პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის“. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უშიშროების საბჭოს ექვსი არამუდმივი წევრის არჩევის წესს.

წესდების 23-ე მუხლში, როგორც ცნობილია, სპეციალურად არის აღნიშნული, რომ გენერალური ასამბლეა უშიშროების საბჭოში არჩევნების დროს პირველ რიგში სათანადო ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები საერთაშორისო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვაში და ორგანიზაციის სხვა მიზნების მიღწევაში. ამასთან ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებასაც.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ცალკეული თვითეული ჩვენგანი, მისი წევრი უაღრესად დაინტერესებულია უშიშროების საბჭოს სწორი კონსტრუირებით, რადგან უამისოდ იგი სათანადო წარმატებით ვერ შეასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენი აზრით, უშიშროების საბჭოს სწორი კონსტრუირების ერთ-ერთი ასეთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპი, რომელზეც მე უკვე ვილაპარაკე. ამ პრინციპის დიდი მნიშვნელობა ხაზგასმით არის აღნიშნული პროცედურის წესებითაც, რომლებიც უშიშროების საბჭოს ეხება. ამავე გარემოების გამო, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1946 წელს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა დაღეს ლონდონში სიტყვიერი შეთანხმება, რომელიც ცნობილია როგორც „ჯენტლმენური შეთანხმება“, ამიტომ, რომ ეს იყო პატიოსან სიტყვაზე დამყარებული შეთანხმება, რომელიც ჩაწერილი არ არის არც ერთ დოკუმენტში, და რომლის - მიხედვითაც უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა შორის ადგილები უნდა განაწილებულიყო განსაზღვრული გეგმით. ამ შეთანხმებით უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა ვალდებულება იკისრეს მხარი დაუჭირონ უშიშროების საბჭოში იმ კანდიდატთა არჩევას, რომლებსაც მსოფლიოს ხუთი უმნიშვნელოვანესი რაიონის ქვეყნები დასასახელებენ.

ამ გეგმის შესაბამისად დაიდო შეთანხმება: არამუდმივი წევრების არჩევნების დროს მხარი დავუჭიროთ ლათინური ამერიკის ქვეყნების რაიონის ორ კანდიდატურას და ამრიგად, ამ რაიონს მივცეთ ორი ადგილი; ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების რაიონს — ერთი ადგილი; შუა აღმოსავლეთის ქვეყნების რაიონს — ერთი ადგილი; დასავლეთ ევროპის ქვეყნების რაიონს — ერთი ადგილი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რაიონს აგრეთვე ერთი ადგილი.

გენერალური ასამბლეა ზუსტად იცავდა ამ შეთანხმებას უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა არჩევნების დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის მთელი დროის მანძილზე, გარდა 1949 წლის და განსაკუთრებით 1951 წლის არჩევნებისა, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ დაშვებულ იქნა წესდების, პროცედურის წესებისა და ლონდონის შეთანხმების ყველასთვის ცნობილი დარღვევა.

ასე იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც თავისებური დისკრიმინაცია ამ ქვეყნების მიმართ.

რაც შეეხება სხვა რაიონებს, მათ მიმართ ეს შეთანხმება თვითეულ სესიაზე სავსებით და თანმიმდევრულად ზუსტად სრულდებოდა.

საბჭოთა წარმომადგენელმა შეძლეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ჯენტლმენურ შეთანხმებას მუდამ უჭერდა მხარს მთელი გენერალური ასამბლეა და, ყოველ შემთხვევაში, ამ ასამბლეის უდიდესი უმრავლესობა, რომელმაც დუშილით მოიწონა ეს შეთანხმება, როცა გაიზიარა იგი თავისი ხმის მიცემით.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დელეგაციებს, აღნიშნა ვიშინსკიმ, ჩვენ მტკიცედ, პატიოსნად და ზუსტად ვიცავდით ამ შეთანხმებას და ყოველთვის ვაძლევდით ხმას იმ ქვეყნების კანდიდატურას, რომლებზეც ახლა ვილაპარაკე, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით მათ თუ არა, გვაქვს ზოგიერთ მათგანთან დიპლომატიური ურთიერთობა თუ არა.

ცნობილია, რომ ახლანდელ არჩევნებში — უშიშროების საბჭოს სამი არამუდმივი წევრის არჩევნებში — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რაიონისაგან არამუდმივი წევრის არჩევის მიმართ მზადდება წესდების, პროცედურის წესებისა და ლონდონის შეთანხმების ახალი დარღვევა. ცნობილია, რომ ზოგიერთი დელეგაცია აპირებს ამ ადგილზე გაიყვანოს თურქეთი, — რომლის კანდიდატურაც აღმოსავლეთ ევროპის რაიონის ქვეყნებს არ დაუსახელებიათ, — და არა პოლონეთი, რომლის კანდიდატურასაც მხარს უჭერენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

ამასთან არც იმას ერიდებიან, რომ ახლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კუთვნილ ადგილზე დაასახელონ თურქეთი, რომელსაც 1951 წელს უშიშროების საბჭოში ეკავა შუა აღმოსავლეთის რაიონის კუთვნილი ადგილი, მას შემდეგ, რაც საბჭოდან გავიდა ეგვიპტე.

ჩვენ ეს უსამართლოდ და არასწორად მიგვაჩნია.

ასეთი მოქმედება პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რაიონის ყველა ქვეყნის მიმართ, განაცხადა ვიშინსკიმ, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ გულწრფელი არ არის ზოგიერთი დელეგატის განცხადებანი, როცა ისინი ირწმუნებიან, თითქოს ესწრაფოდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

გენერალური ასამბლეის მოვალეობაა არ დაუშვას წესდების დარღვევა.

• • •

უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა არჩევნები, გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების შესაბამისად, ხდება ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის პირველ ტურში არჩეულ იქნენ ბრაზილიისა და ახალი ზელანდია. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მესამე არამუდმივი წევრის არჩევნებს, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო ორი მესამედი: ხმები გაიყო თურქეთის კანდიდატურასა და პოლონეთის კანდიდატურას შორის. თურქეთის კანდიდატურა წამოყენებულია შეერთებული შტატებისა და მათი მომხრე დელეგაციების მიერ, ხოლო პოლონეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელია, რომელიც აკმაყოფილებს წესდების, პროცედურის წესებისა და ლონდონის შეთანხმების მოთხოვნებს. საჭირო გახდა რამდენჯერმე კენჭისყრა, ამასთან კენჭისყრის დროს პოლონეთი ოცოვებდა 23-მდე ხმას კენჭისყრის ხმოლოდ მერვე ტურში ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლებმა შეძლეს მოგროვებინათ ხმების ორი მესამედი, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ თურქეთი აირჩიათ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად.

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა ეკონომიური და სოციალური საბჭოს ექვსი წევრის არჩევნებს ნაცვლად სსრ კავშირის, ინგლისის, პოლონეთის, შეეციის, ფილიპინებისა და ურუგვაისა, რომლებიც იქიდან გადიან რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ და რომელთა საბჭოში ყოფნის ვადა თავდება 1953 წლის 31 დეკემბერს. ფარული კენჭისყრის შედეგად სსრ კავშირი და ინგლისი ხელახლა არჩეულ იქნენ ამ საბჭოს წევრებად.



ფოტოტეტიული: თბილისის ქალთა მე-40 საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდა მხატვრები ხატავენ ეტიუდებს კომკავშირის ხეივანში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ხელოვნების ქრონიკა

ზ. ფალიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლები

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა, რომელიც შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის სახელს ატარებს, მისი გარდაცვალების ოცი წლისთავთან დაკავშირებით გამართა ორი სპექტაკლი. ნაჩვენები იყო ზ. ფალიაშვილის ოპერები — 6 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერი“, ხოლო 7 ოქტომბერს „დაისი“.

ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დაწყების წინ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. მაჭავარიანმა წაიკითხა მოხსენება ზ. ფალიაშვილის შემოქმედების შესახებ.

რუსთაველის სახელობის თეატრში

6 ოქტომბერს ლენინის ორდენოსანმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ბრძენარე სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ს. კლიაშვილის კომედია „დღესასწაული საკრეულაში“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ აკ. დვალიშვილს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ლაპიაშვილს, მუსიკა — კომპოზიტორ რ. ლაღიძეს.

ახალგაზრდა მეჩონგურეთა შემოქმედებითი შეხვედრა

ბუქარესტში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატმა ტატიანა მახარაძემ თავისი შემოქმედებითი გზა დაიწყო მეჩონგურე ქალთა ანსამბლში.

ამ დღეებში საქართველოს ფილარმონიის სახაფხულო ბაღში გაიმართა მეჩონგურე ქალთა ანსამბლის შეხვედრა ანსამბლის ყოფილ წევრთან ტ. მახარაძესთან. საუკეთესო ნომრებისაგან შემდგარ ორგანყოფილებიან კონცერტში სასოლო სიმღერებით გამოვიდა ტ. მახარაძე.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

დღეს, საღამოს 8 საათზე მოეწყობა სემინარი პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების პირველი წელი) თემაზე: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიაზე“. სემინარის ხელმძღვანელი დოკ. ი. შარაშენიძე.

დღეს, საღამოს 8 საათზე მოეწყობა სემინარი პოლიტეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების პირველი წელი) თემაზე: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიაზე“. სემინარის ხელმძღვანელი პროფ. ს. ბერაძე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საზეიმო სხდომა ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავის გამო

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში გაიმართა საზეიმო სხდომა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავის გამო.

სხდომას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეველის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე ი. დიკმანი, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები, წარმოების მოწინავეები.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ს. სემიონოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძი პინ-ფეი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეველმა.

ეროვნული პრემიის ლაურეატების წოდების მინიჭება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავის გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა ეროვნული პრემიის ლაურეატების წოდება მიანიჭა გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში მოპოვებული მიღწევებისათვის.

ლაურეატებისათვის სიგელებისა და მედლების გადაცემას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეველის მეთაურობით და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პრე